

მირიან მამასახლისი

აქციათა სავალდებულო მიყიდვა

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, [მირიან მამასახლისი]

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა:

თარიღი :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი მირიან მამასახლისის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „აქციათა სავალდებულო მიყიდვა“-ს და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____

თარიღი :

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი ქართული სამართლის მიხედვით და შესაძარებლად განხილულია, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაც აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი აქტუალურობას არ კარგავს როგორც აქციონერთა ინტერესების თანაბარი დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე, ასევე ქვეყნის საერთო ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესების მიზნით. სწორედ ამ საჭიროებებიდან გამომდინარე არღვევს ისეთ ძირითად და აუცილებელ პრინციპს კერძო სამართლისათვის, როგორცაა სახელშეკრულებო თავისუფლება და გადაიკვეთება კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებასთან.

მენარმეთა შესახებ კანონის ნორმა, რომელიც აქციათა 95%-ზე მეტი წილის მფლობელ აქციონერს უფლებას აძლევს გამოისყიდოს დანარჩენი აქციები, ვალდებულს ხდის მცირე აქციონერებს, დადონ არასასურველი გარიგება და საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ გაასხვისონ საკუთრება. აქედან გამომდინარე, ნაშრომში შეფასებულია აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის მიმართება საკუთრების უფლებასა და სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპთან. შესაბამისად, განხილულია ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი და მისი ისტორიული განვითარება.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის (squeeze-out) მიმოხილვას, როგორც კონტინენტური ევროპის, აგრეთვე ამერიკული სამართლით. კვლევა თვალსაჩინოს ხდის განსახილველი ინსტიტუტის მნიშვნელობას მსოფლიო ბაზარზე, რამდენადაც აჩვენებს სხვადასხვა ქვეყნის მიერ დანესებულ უფრო დაბალ ბარიერს, ან ალტერნატიული გზების ძიებას დანესებული მაღალი ბარიერის გვერდის ავლის მიზნით.

ამგვარი არასასურველი გარიგების დადებისას, მცირე აქციონერთა დაცვა გამოიხატება მათთვის შესაბამისი ანაზღაურების გადაცემითა და სათანადო ინფორმაციის მიწოდებით. ნაშრომში შეფასებულია სასამართლოს როლი სამართლიანი ღირებულების დადგენის და მინორიტართა უფლებების დაცვის კუთხით.

ნაშრომში აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი გააზრებულია როგორც აქციონერთა თვალთახედვით, ასევე საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე. წინამდებარე კვლევა განიხილავს თანაბარი მოპყრობის

პრინციპსა და მხარეთა შორის ბალანსს სწორედ სააქციო საზოგადოების, როგორც საწარმოს სამართლებრივი ბუნების კონტექსტში და შეიმუშავებს რეკომენდაციებს აღნიშნული ინსტიტუტის უკეთესად ფუნქციონირების მიზნით.

მაშასადამე, ქვემოთ მოცემულ თავებში განვიხილავთ სწორედ აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტს, მასთან დაკავშირებულ პრობლემებს და მის მნიშვნელობას სამეწარმეო სამართალში.

ნაშრომი მოიცავს რეზიუმეს, შინაარსს, შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), კვლევის შედეგებს, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Abstract

This paper analyzes the institution of compulsory sale of shares under Georgian law and for comparison, the legislation of different countries on this issue is also discussed.

The institution of compulsory sale of shares does not lose its relevance both due to the need to protect the interests of shareholders, as well as to improve the overall economic climate of the country. It is because of these needs that it violates a basic principle of private law such as contractual freedom and intersects with the constitutionally guaranteed property right.

The norm of the Law on Entrepreneurs, which allows a shareholder holding 95% of the shares to redeem the remaining shares, forces small shareholders to make an unwanted transaction and alienate the property against their will. Therefore, the paper evaluates the institution of compulsory sale of shares in relation to the principle of property rights and contractual freedom. Accordingly, the issue of the constitutionality of the norm and its historical development is discussed.

This master's thesis includes a review of squeeze-out under both continental European and American law. The study highlights the importance of the institution under consideration in the world market, as it shows the lower threshold imposed by different countries, or the search for alternative ways to bypass the high threshold imposed.

In concluding this undesirable deal, the minorities are protected by providing them with appropriate remuneration and providing them with appropriate information. The paper assesses the role of the court in establishing fair value and protecting the rights of minorities and develop recommendations for the better functioning of this institution.

Therefore, in the following chapters we will discuss the institution of compulsory sale of shares, the problems associated with it and its importance in business law.

The paper includes an abstract, table of contents, introduction, literature review, main topic (divided into chapters and subsections), research results, conclusion and a list of used literature.

შინაარსი

შესავალი	9
თავი I	11
ლიტერატურის მიმოხილვა	11
თავი II	13
აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი და მისი ისტორიული ექსკურსი 13	
2.1. აქციათა სავალდებულო მიყიდვის არსი	13
2.2. აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურა	14
2.3. ისტორიული ექსკურსი	18
თავი III	21
აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის მიმართება საკუთრების უფლებასთან	21
3.1. კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული უფლება	21
3.2. აქცია, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი	22
3.3. აქციათა სავალდებულო მიყიდვის გამიჯვნა საკუთრების ჩამორთმევისაგან	23
3.4. აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი, როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვა	25
3.5. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება და საჯარო ინტერესი ...	27
თავი IV	32
აქციათა სავალდებულო მიყიდვასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები	32
4.1. აქციათა სავალდებულო მიყიდვა, როგორც კონტრაქტების იძულება	32
4.2. აქციათა სავალდებულო მიყიდვის მიზები	35
4.3. სამართლიანი ფასის პრინციპი	37
4.3.1. სამართლიანი ფასის ცნება და მნიშვნელობა	38
4.3.2. სამართლიანი ფასის დადგენა მეწარმეთა კანონის ძველი რედაქციით	39

4.3.3. სამართლიანი ფასის დადგენა ღირს მოქმედი კანონმდებლობით
42

თავი V	47
აქციონერები და სანარმო აქციათა სავალდებულო მიყიდვის დროს	47
5.1. თანაბარი მოპყრობის პრინციპი	47
5.2. ბალანსი მხარეებს შორის	50
5.3. ინტერესთა შეპირისპირება	51
თავი VI.....	55
აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის მონესრიგება უცხო ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.....	55
6.1. კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობით	55
6.2. პოსტ-საბჭოთა ქვეყნების კანონმდებლობით	57
6.3. ამერიკული სამართლით	59
6.4. ძირითადი განსხვავებები ევროპულ და ამერიკულ სისტემებს შორის 61	
თავი VII	64
კვლევის შედეგები და მათი განსჯა	64
დასკვნა	69
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა	72

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომში წარმოჩენილია პრობლემა, რომლის მოგვარებასაც როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს ისეთი წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობა და სასამართლო ცდილობს, როგორცაა (გერმანია, ა.შ.შ, ნიდერლანდები და სხვ.). აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი მცირე აქციონერს ვალდებულს ხდის განკარგოს საკუთარი ქონება და აქედან გამომდინარე ჰკვეთს კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებას. აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის არსებობა ხელს უწყობს ეფექტურად ორგანიზებული საწარმოების ჩამოყალიბებასა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას და ამდენად, იგი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის. იმის დადგენა, თუ სად გადის ზღვარი მცირე აქციონერის უფლებებსა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის განხორციელებულ მოქმედებებს შორის, პრობლემატურია მთელი მსოფლიოსათვის.

საკითხის აქტუალობას გამოჰკვეთს ფაქტი, რომ ბარიერი, რომლის მიღწევის შემთხვევაშიც მაჟორიტარ აქციონერს უფლება აქვს გამოისყიდოს დანარჩენი აქციონერების აქციები, განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში (გერმანია 95%, საფრანგეთი- 90%, ა.შ.შ- 90%) და, აგრეთვე, განსხვავდება გამოსყიდვის მექანიზმები და პროცედურები. ამ განსხვავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი სხვადასხვა ქვეყნის მხრიდან აქციონერის, როგორც სამართლის სუბიექტის განსხვავებული ხედვაა, ხოლო მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად განვითარებულია საფონდო ბირჟა ნორმის მომწესრიგებელ სახელმწიფოში.

აუცილებელია, განხილულ იქნას აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის მონესრიგება როგორც ქართული ისე უცხო ქვეყნების კანონმდებლობით და დეტალურად იქნეს აღწერილი ქართულ სამართალში (კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში) განხორციელებული

ცვლილებები (და ამ ცვლილების მიზეზები) აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებით. ამგვარი მიმოხილვა დაგვეხმარება განვსაზღვროთ აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის როლი და ადგილი ქართულ სამართალში. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ზემოაღნიშნული ზღვრის გავლება იმგვარად, რომ დავიცვათ მცირე აქციონერთა უფლებებიც და ამასთან, ნორმის ხისტი სამართლებრივი მონესრიგებით ხელი არ შევეშალოთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

აღნიშნული ინსტიტუტის კონსტიტუციურობის საკითხი არაერთხელ დადგა დღის წესრიგში როგორც საქართველოს, აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სასამართლოებში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ფაქტი, რომ დღეს აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის კონსტიტუციურობა კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ არის. თუმცა, სავალდებულო მიყიდვის წესი, პირობები, მექანიზმები და პროცედურა ყოველთვის განსაზღვრავს თუ რამდენად თანაზომიერია საკუთრების უფლების შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. აქციათა სავალდებულო მიყიდვის დროს ამ მხრივ ყველაზე დიდი კრიტიკა სამართლიანი ფასის განსაზღვრის მექანიზმს უკავშირდება. იურისდიქციებში განსხვავდება ის ორგანოც, რომელიც ადგენს აქციათა სამართლიან ღირებულებას. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას აგრეთვე საკითხი, თუ რამდენად გულისხმობს სავალდებულო მიყიდვის სოციალური საჭიროების გაჩენას აქციათა 95%-ზე მეტის ფლობა სხვა დამატებითი პირობებისა და საფუძვლების გარეშე.

ნაშრომის მიზანია, აგრეთვე, გამოიკვეთოს განსხვავება აქციონერისა და საწარმოს ინტერესებს შორის, ხაზი გაესვას დაცვის ღირსი ინტერესის არსებობას აქციათა სავალდებულო მიყიდვის დროს და მოხდეს სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე, ასევე ჩვენი ქვეყნის რესურსების გთვალისწინებით.

თავი I

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეხებოდა აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულ იქნა საკანონმდებლო ნორმებისა და დოგმატურ სამეცნიერო შეხედულებების ანალიზი. ასევე, გამოყენებულია შედარებითსამართლებრივი მეთოდი კონტინენტური ევროპისა და ამერიკული სამართლის ნორმატიული მოწესრიგების განხილვით.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი ქართული სამართლისათვის საკმაოდ ახალია. იგი ქართულ სამართლებრივ სივრცეში საკანონმდებლო დონეზე 2005 წლის 24 ივნისს განმტკიცდა და ამ მოკლე დროში აქციათა სავალდებულო მიყიდვის მომწესრიგებელმა ნორმამ ცვლილება განიცადა. მითითებულ ინსტიტუტზე მსჯელობისას უმნიშვნელოვანესია სწორედ ეს ცვლილებები, რადგან მომწესრიგებელი ნორმის ცვლილება ყველაზე უკეთ მიუთითებს მის თანამედროვე საჭიროებებსა საზოგადოების სამართლებრივად განვითარებაზე. აქედან გამომდინარე კვლევაში მნიშვნელოვნად დამეხმარა სასამართლო პრაქტიკა. ნაშრომში გამოყენებულია სასამართლოს გადაწყვეტილებები 2005 წლიდან დღემდე. სასამართლოს გადაწყვეტილებებში საინტერესოდ იკვეთება აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის არსი და მასში ასახული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ცვლილებები.

ისტორიული ექსკურსისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას გამოვიყენე ი. ბურდულის 2007 წლის ნაშრომი „სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების

აუცილებელი წინაპირობა?!“ და ასევე კ. კუჭავას 2007 წლის ნაშრომი „სავალდებულო მიყიდვა- უფლებათა დარღვევა თუ გზა უკეთესი კორპორაციული მართვისაკენ. აღნიშნული ლიტერატურა გამოვიყენე, რადგან მნიშვნელოვნად მიმაჩნია სწორედ იმ დროინდელი შეხედულებები მომწესრიგებელ ნორმასთან დაკავშირებით, როდესაც მას ჯერ ცვლილება არ განეცადა. ეს უფრო მეტად უსვამს ხაზს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობას და ახალ ნორმატიულ მოწესრიგებას.

შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებისას გერმანულ სამართალთან დაკავშირებით დამეხმარა ა. ნოზაძის „აქციათა სავალდებულო მიყიდვა, ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი (2012), ამერიკულ სამართალთან შედარებისათვის- დ. მაისურაძის კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას (შედარებითსამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2014წ. ძალიან საინტერესო იყო Tom Vos-ის , “Baby, it’s cold outside.” –A comparative and economic analysis of freeze-outs of minority shareholders, 2018, რადგან ერთმანეთთან არის შედარებული აღნიშნული ინსტიტუტის კონტინენტური ევროპისა და ამერიკული მოწესრიგება. აგრეთვე ამ მხრივ საინტერესო იყო „Just in time for summer: The freeze-out merger, a legal option available to some majority owners of privately-held Texas companies, 2019“.

მაშასადამე, ამ და სხვა ლიტერატურის გამოყენებით (რომელიც გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის სახით არის მითითებული), ნაშრომში განხილულია მსოფლიოს ქვეყნების საკანონმდებლო მოწესრიგება აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტთან დაკავშირებით და აგრეთვე შედარებულია ქართულ სამართალში მოქმედ შესაბამის ნორმებთან.

თავი II

აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი და მისი ისტორიული ექსკურსი

2.1. აქციათა სავალდებულო მიყიდვის არსი

იურიდიულ ლექსიკონში აქციათა სავალდებულო მიყიდვა განმარტებულია როგორც „ქმედება, რომელიც მიმართულია კორპორაციაში უმცირესობის ინტერესების შემცირების ან გაქრობისკენ“. ეს სამართლებრივი ინსტიტუტი მაჟორიტარს (რომელიც უნდა ფლობდეს აქციების გარკვეულ პროცენტს) აძლევს უფლებას, აიძულოს მინორიტარი, რომ ამ უკანასკნელმა მაჟორიტარს მიჰყიდოს თავისი წილი.¹

აქციათა სავალდებულო მიყიდვა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების 95%-ზე მეტი. ასეთ დროს, ამ აქციონერს უფლება აქვს, სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები. ხოლო დანარჩენ აქციონერებს კი ერთადერთი შესაძლებლობა რჩება - მიიღონ აქციათა სანაცვლოდ „სამართლიანი ფასი“.² აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასი და თარიღი განისაზღვრება საქართველოს

¹ ნოზაძე, ა. (2012). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა, ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა.(გვ.5)

² ბურდული, ი. (2008). *ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებით.³

აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი ქართულ სამართლებრივ სივრცეში საკანონმდებლო დონეზე 2005 წლის 24 ივნისს განმტკიცდა, როდესაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს 53³ მუხლი დაემატა. ეს ინსტიტუტი შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს უკიდურეს საშუალებას, რომელიც საჭიროა საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.⁴

აქციათა სავალდებულო მიყიდვა შეიძლება განხორციელდეს ორ შემთხვევაში. ერთი შემთხვევა არის ზოგადი, როდესაც კომპანია სტატიკურ მდგომარეობაშია და უახლოეს წარსულში მისი მფლობელობის სტრუქტურაში არ მომხდარა რაიმე ცვლილება. მეორე შემთხვევა მოჰყვება კომპანიაზე კონტროლის დამყარებას.⁵

2.2. აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურა

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 53⁴ მუხლი შინაარსობრივად, როგორც მატერიალურ, ისე პროცესუალურ დებულებებს შეიცავს. ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აქციათა სავალდებულო მიყიდვის უფლების რეალიზაცია ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ზე მეტის მესაკუთრეს

³ თვანიაშვილი ლ, ტივიშვილი დ. (2020). *გზამკვლევი სოციალური საქარმოებისა და არასამენარმეთო იურიდიული პირებისთვის*. თბილისი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.(გვ.47)

⁴ კეკელიძე გ, ხერხეულიძე დ. (2013). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა-ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საკანონმდებლო რეგულაციის მიმოხილვის ქრილში*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა.(გვ.48)

⁵ ნოზაძე, ა. (2012). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა, ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა.(გვ.5)

შეუძლია სამართლიანი ფასის გადახდისა და სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე.⁶

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის წესი გათვალისწინებულია აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. კოდექსის 309⁸-ე მუხლი ადგენს აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების დასაშვებობას და ბარიერს განსაზღვრავს, როგორც არანაკლებ 95%-ს. მაშინ როდესაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53⁴-ე მუხლში როგორც ზემოთ აღინიშნა, მითითებულია სიტყვები „95%-ზე მეტი“. ამკარაა, რომ ეს ორი ნორმა ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია. ვინაიდან „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად იერარქიის ერთსა და იმავე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული ან გამოცემული აქტით დადგენილი ნორმა, უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.⁷ მაშასადამე, სასამართლო განცხადებას დასაშვებად სცნობს, თუ აქციონერი სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 95% წილის მფლობელია.

მყიდველი სასამართლოსადმი მიმართვამდე არაუგვიანეს 1 თვისა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებს თავის განცხადებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოსყიდვის მიზეზების, პირობებისა და

⁶ კეკელიძე გ. ხერხეულიძე დ. (2013). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა-ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საკანონმდებლო რეგულაციის მიმოხილვის ქრილში*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა. (გვ 43)

⁷ ხურცილავა რ, გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში. დისერტაცია. თბილისი, (2009). (გვ.205)

პროცედურების შესახებ.⁸ აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს წარედგინება არა სარჩელი, არამედ განცხადება სავალდებულო მიყიდვის შესახებ.⁹

აქციათა რეესტრის მწარმოებელი პირი/რეგისტრატორი სასამართლოს მიერ დადგენილ გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღამდე არაუგვიანეს 5 დღისა აქციათა ყველა რეგისტრირებულ მფლობელს, რომელთა ვინაობა და ადგილსამყოფელი ცნობილია, აწვდის ინფორმაციას აქციების სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების, გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღისა და ძირითადი პროცედურების თაობაზე (თუ ისინი ცნობილია), ხოლო აქციათა რეგისტრირებული მფლობელებისათვის, რომელთა ვინაობა ან/და ადგილსამყოფელი უცნობია, აღნიშნულ ინფორმაციას აქვეყნებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში. გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღიდან აქციათა გამოსყიდვის პროცედურების დასრულებამდე წყდება ამ აქციებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, გარდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53⁴ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისა.

რეგისტრატორი ადგენს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით ყველა რეგისტრირებული მფლობელის სიას, მათი ვინაობის, მისამართის და მათ მფლობელობაში არსებულ აქციათა რაოდენობის მითითებით („გამოსყიდვის რეესტრს) და მყიდველის მიერ განსახორციელებელ ქმედებათა დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე - ყველა აქციას გადაათვორმებს მყიდველის

⁸ ფანიაშვილი ლ, ტივიშვილი დ. (2020). *გზამკვლევი სოციალური საქარმოებისა და არასამენარმეთო იურიდიული პირებისთვის*. თბილისი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.(გვ.48)

⁹ ხურცილავა რ, გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში. დისერტაცია. თბილისი,(2009).(გვ.206)

სახელზე.¹⁰ ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქციის რეგისტრირებული მფლობელის ვინაობის ან/და მისამართის დაზუსტება შეუძლებელია, რეგისტრატორი გამოსყიდვის რეესტრში შესაბამის ჩანაწერს (კომენტარს) აკეთებს.¹¹

მყიდველის მიერ გამოსყიდვასთან დაკავშირებულ ქმედებათა დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე რეგისტრატორი ყველა აქციას მყიდველის სახელზე გადააფორმებს. ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მყიდველი ყველა დარჩენილი აქციის გამოსასყიდ თანხას უვადოდ განათავსებს დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ბანკში, ცენტრალურ დეპოზიტართან ან საბროკერო კომპანიასთან, რომელსაც მყიდველი გადასცემს გამოსყიდვის რეესტრს, რომლის მიხედვითაც გაიცემა აღნიშნული სპეციალური ანგარიშიდან თანხები მყიდველისგან დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე.¹²

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ ნორმები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოთავსებულია გამარტივებული წარმოების კარში ისე, რომ არც ერთ მუხლში არ გვხვდება ჩანაწერი ასეთი საქმეების გამარტივებული წარმოების წესით განხილვის შესახებ. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საქმის გამარტივებული წესით განხილვისთვის აუცილებელია არსებობდეს მხარის მოთხოვნა. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეები დაჩქარებული წესით განიხილება, მიუხედავად ასეთი ჩანაწერის არარსებობისა. ვეთანხმები მსჯელობას, რომ სასურველია 309⁸-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი

¹⁰ ბარბაქაძე ხ, ასლანიშვილი დ, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ლექციების კურსი (გვ.95)

¹¹ ფანიანიშვილი ლ, ტივიშვილი დ. (2020). *გზამკვლევი სოციალური საქარმოებისა და არასამენარმეო იურიდიული პირებისთვის*. თბილისი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.(გვ.48)

¹² ფანიანიშვილი ლ, ტივიშვილი დ. (2020). *გზამკვლევი სოციალური საქარმოებისა და არასამენარმეო იურიდიული პირებისთვის*. თბილისი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.(იქვე)

რედაქციით, რომელშიც აღინიშნება: „გამარტივებული წესით შეიძლება განხილული იქნეს სააქციო საზოგადოების აქციონერთა განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ, რომელსაც აქციათა შეძენის შედეგად, საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 95%-ისა (შემდგომში მყოფველი)“.¹³

2.3. ისტორიული ექსკურსი

აქციათა სავალდებულო მიყიდვა დასავლეთის ბევრი ქვეყნისათვის არ არის უცხო მოვლენა. ჯერ კიდევ დიდ ბრიტანეთში „კომპანიათა აქტმა“, რომელიც 1985 წელს იქნა მიღებული, განსაზღვრა უმცირესობაში მყოფი აქციონერების გარიცხვის არსებითი სამართლებრივი საფუძვლები. სწორედ ეს არის ის ცენტრალური ინსტიტუტი, რომლითაც ხდება დიდ ბრიტანეთში უმცირესობაში მყოფი აქციონერების საზოგადოებიდან გარიცხვა. უმცირესობაში მყოფ აქციონერთა გარიცხვას იცნობს, ასევე, აშშ-ს „წევრ-სახელმწიფოთა სამართალი“. ევროპის კავშირის ქვეყნებისათვის ევროპის კავშირის მიერ უმცირესობაში მყოფი აქციონერების განდევნის სამართლებრივი საფუძვლები დანერგილ იქნა, ასევე, 2004 წლის საწარმოთა დაპატრონების შესახებ მიღებული დირექტივით და, თავის მხრივ, 2006 წლის 20 მაისამდე ამ პრინციპის ევროპის კავშირის ქვეყნების ნაციონალურ სამართალში დანერგვის საკითხი განისაზღვრა.¹⁴

როგორც უკვე აღინიშნა, აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი ქართულ სამართლებრივ სივრცეში საკანონმდებლო დონეზე 2005 წლის 24 ივნისს განმტკიცდა, როდესაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს 53³ მუხლი დაემატა. საქართველოში აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას და განვითარებას წინ უძღოდა გარდამავალი

¹³ ხურცილავა რ. (2009), გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში. დისერტაცია. თბილისი, (გვ.226)

¹⁴ ბურდული, ი. (2007). საქართველოს უზენაესი სასამართლო,სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი.(გვ. 11)

პერიოდი, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან. 2006 წლის მარტი-აგვისტოს განმავლობაში, სასამართლოს ხუთი კონსტიტუციური სარჩელით მიმართეს სხვადასხვა სააქციო საზოგადოების უმცირესობაში მყოფმა აქციონერებმა. მოსარჩელები მოითხოვდნენ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53⁴ მუხლის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 21-ე მუხლების საწინააღმდეგოდ ცნობას.¹⁵ ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ არაკონსტიტუციური და მიუღებელი იყო არა თავად აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი, არამედ იმ დროისათვის კანონში არსებული ფორმულირება. მოგვიანებით, კანონში საკითხის ახლებური რეგულირების დამდგენი ნორმა შევიდა და სავალდებულო მიყიდვის კონცეფცია განსხვავებულად ჩამოყალიბდა.¹⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისა (2007 წლის 18 მაისს) და მენარმეთა შესახებ კანონის 53³-ე მუხლის არაკონსტიტუციურად გამოცხადებიდან ზუსტად 10 დღის შემდეგ, პრეზიდენტმა საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა პარლამენტს და მენარმეთა შესახებ კანონში განსახორციელებელი დამატების პროექტი წარუდგინა. პროექტმა, რომელიც პარლამენტმა 2007 წლის 11 ივლისს უმრავლესობით მიიღო, აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის ახალი წესი დაადგინა: თუ 53³-ე მუხლის შესაბამისად აქციათა გამოსყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას მაჟორიტარი იღებდა, 53⁴-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას

¹⁵ მაისურაძე დ, იამანიძე ი, შაკიაშვილი ი. (2019). *ინვესტიციის დაცვის სამენარმეთა-სამართლებრივი ინსტიტუტების მცირე ექსკურსი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით*. მართლმსაჯულება და კანონი.

¹⁶ ხარაიშვილი ა, ქართული ბიზნეს სამართალი საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, 2019 წ.(გვ.179)

იღებს სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით“.

აღსანიშნავია, რომ მენარმეთა კანონის 53⁴-ე მუხლის მიღებასთან ერთად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა 342-ე თავი, რომლითაც განისაზღვრა აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის წესი, გამოსასყიდ აქციათა ფასის დადგენის პროცედურა და აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხსენებული ცვლილებით აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის პროცესში მხოლოდ საქმის განმხილველი მხარე შეიცვალა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არა პროცესის მონაწილეს - მაჟორიტარ აქციონერს - არამედ ნეიტრალურ მხარეს, სასამართლოს მიენიჭა.¹⁷

¹⁷ ავტორთა ჯგუფი. (2007). *საკუთრების უფლება საქართველოში*. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

თავი III

აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის მიმართება საკუთრების უფლებასთან

3.1. კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული უფლება

საკუთრების უფლება ადამიანის ფუნტამენტურ, ძირითად უფლებას წარმოადგენს, რომელიც აღიარებული და უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი „საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“

მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით განსაზღვრულია საკუთრების უფლების აბსოლუტურობა,¹⁸ თუმცა, შეუზღუდავი არ არის. კონსტიტუციის მითითებული მუხლი საკუთრების უფლების შეზღუდვისა და ჩამორთმევის შესაძლებლობებს ადგენს, როგორც გამონაკლისს საერთო წესიდან.

საჯარო ინტერესების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია საკუთრების უფლებაში ჩარევა. კერძოდ, საჯარო ინტერესების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა აღნიშნული უფლება შეიზღუდოს, ხოლო აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობისას კი შეიძლება საკუთრების ჩამორთმევა. აქციათა სავალდებულო მიყიდვა საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი მექანიზმების მაგალითია.¹⁹

¹⁸ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 103.

¹⁹ ავიკიანი რაულ, მოლთაძე დავით. (2021). *ურბანული სამართალწარმოების საკითხები*. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი (გვ.23).

3.2. აქცია, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მე-19 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროს ობიექტი, ანუ ის საგანი ან მატერიალური აქტივი, რომელზეც ვრცელდება საკუთრების უფლება. პირველ რიგში, განხილულ უნდა იქნას რამდენად ექცევა აქცია კონსტიტუციით განმტკიცებული მითითებული უფლების დაცვის ფარგლებში.

აქციას შეიძლება ითქვას, სპეციფიკური სამართლებრივი ბუნება აქვს. იგი არ არის მხოლოდ სავარაუდოდ მისაღები, ვირტუალური შემოსავალი.²⁰ აქცია თავის თავში მოიცავს როგორც საზოგადოების მართვისათვის საჭირო უფლებებს, (მაგ: ხმის უფლება, კონტროლის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება და ა.შ), აგრეთვე მას აქვს უფლების არსებობის დამადასტურებელი ფუნქცია.²¹

აქცია, მეწარმეთა კანონის მიხედვით არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში.

2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით აქცია განიმარტა, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი. ამ გადაწყვეტილების თანახმად, აქცია არის სააქციო საზოგადოების ქონებაში მესაკუთრის წილობრივი საკუთრების გამომხატველი და წილზე უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ის არის “წილობრივი ფასიანი ქაღალდი” „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონით. საკუთრება აქციაზე მატერიალიზებადია როგორც აქციის განკარგვის შემთხვევაში, ასევე საზოგადოების ლიკვიდაციისას, რადგანაც ის აძლევს აქციონერს უფლებას მიიღოს ლიკვიდირებული

²⁰ ხურცილავა რ, გამარტივებული წარმობა საქართველოს სამოქალაქო პროცესში. დისერტაცია. თბილისი,(2009).(გვ.208)

²¹ იქვე, (გვ.207)

სააქციო საზოგადოების ქონება თავისი წილის შესაბამისად. გარდა ამისა, აქცია აძლევს მის მესაკუთრეს საწარმოს მოგებიდან წილის მიღების უფლებას. ამდენად, აქცია არ არის მხოლოდ სავარაუდოდ მისაღები, ვირტუალური შემოსავალი, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე დივიდენდებს შეეხება. ის არის აქციონერის სამართლებრივად განმტკიცებული ქონებრივი უფლებებისა და პოზიციის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ სიკეთეს წარმოადგენს.²²

3.3. აქციათა სავალდებულო მიყიდვის გამიჯვნა საკუთრების ჩამორთმევისაგან

იქიდან გამომდინარე, რომ ძირითადად კონსტიტუცია აწესრიგებს სახელმწიფოს და ინდივიდს შორის არსებულ „ვერტიკალურ“ ან ინდივიდთა შორის „ირიბ-ჰორიზონტალურ“ ურთიერთობას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახის სამართალწარმოებაზე ვრცელდებოდა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული საკუთრების უფლება.²³

საკითხზე მსჯელობისას პირველ რიგში უნდა განიმარტოს წარმოადგენს თუ არა აქციათა სავალდებულო მიყიდვა კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილით შეზღუდვის სფეროს, ე.წ. „ექსპროპრიაცია“.

ერთმანეთისაგან უნდა გამიჯნოს, ერთი მხრივ, საკუთრების ფარგლებისა და შინაარსის დადგენის საკითხი და, მეორე მხრივ, ექსპროპრიაცია, რადგან საკუთრების შინაარსის დადგენა არის კანონმდებლის მხრიდან უფლებების და მოვალეობების განსაზღვრა. შესაბამისად, საკუთრების შეზღუდვები, რომელიც გათვალისწინებულია

²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება

²³ საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მეორე ნაწილით, სწორედ ამ შინაარსის განსაზღვრის ნაწილად მიიჩნევა, ხოლო ექსპროპრიაცია კი სახელმწიფო ღონისძიებას წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს საკუთრების მთლიანად ჩამორთმევას და განიხილება კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის ჭრილში.²⁴

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფომ, საკანონმდებლო ხელისუფლებამ დაადგინა სამართლებრივი რეჟიმი, მაგრამ თვითონ არ გამოდის ამ ურთიერთობის მონაწილედ. შეიძლება აქციათა 95%-ის ან მეტის მფლობელი სახელმწიფო იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი არის აქციონერი, რომელიც ამ ურთიერთობებში არსებითად არ განსხვავდება სხვა მაჟორიტარი აქციონერებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ კარიგების დადებისას იგნორირებულია მინორიტარი აქციონერის ნება, მას მაინც ვერ გავაიგივებთ განსხვავებული სამართლებრივი ბუნების მქონე სახელისუფლებო აქტთან, რითაც ხდება საკუთრების ჩამორთმევისათვის უფლებამოსილების მინიჭება და ჩამორთმევის სამართლებრივი გაფორმება.²⁵ საკუთრების ჩამორთმევისას ურთიერთობები მესაკუთრესა და ხელისუფლებას შორის თავისი არსით საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობებია, როდესაც ურთიერთობები აქციონერებს შორის კერძო-სამართლებრივ სფეროს განეკუთვნება. საკუთრების ჩამორთმევის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან ან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საჯარო მიზნების მისაღწევად.²⁶

²⁴ კაკოიშვილი, დ. (2012). *საკუთრება, საკუთრების ჩამორთმევა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის და მესაკუთრის ინტერესების დაცვა საკუთრების უფლებაში ჩარევის დროს*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა. (გვ.45)

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება

²⁶ თოდუა უ, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში, თბილისი, 2019 წ, (გვ.104)

მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ექსპროპრიაციის დროს საკუთრების ჩამორთმევისას, კანონმდებელი კონკრეტული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, პირის საკუთრების მიმართ ინდივიდუალურად, მიზანმიმართულად მოქმედებს, ანუ განსაზღვრული საჯარო ინტერესის მიღწევა ხდება კონკრეტული პირის (პირების) საკუთრების ჩამორთმევის ხარჯზე. ამასთან, ეს ღონისძიება ერთჯერად ხასიათს ატარებს. მაშინ როდესაც მე-19-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში კანონმდებელი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას ადგენს საკუთრებით სარგებლობის ზოგად ფარგლებს და მესაკუთრეთა გარკვეულ ვალდებულებებს. ამასთან, საკუთრების ასეთი პირობებით შეზღუდვა ვრცელდება პირთა წრეზე მანამ, სანამ კონკრეტული გარემოება ან მიზანი, რომელიც საზოგადოებრივ საჭიროებად არის მიჩნეული, არ მიიღწევა, ან არ ამოიწურება მისი ასეთად მიჩნევის აუცილებლობა.²⁷

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ხდება მინორიტარი აქციონერის მიერ საკუთრების უფლების დაკარგვა აქციაზე, ვერ იქნება განხილული, როგორც საკუთრების ჩამორთმევა და ვერ მოხდება მისი კონსტიტუციურობის შემოწმება 21-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით²⁸ სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი ვერ შეფასდება, როგორც საკუთრების ჩამორთმევა კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

3.4. აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი, როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვა

მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შემთხვევაში, საკუთრების ჩამორთმევისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ადგენს სამართლებრივ რეჟიმს, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ პირდაპირ ან ირიბად

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/2/384

²⁸ თოდუა უ, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში, თბილისი, 2019 წ. (გვ.104)

მონაწილეობა მიიღოს კონკრეტულ ურთიერთობაში. სასამართლო იზიარებს სპეციალისტის მოსაზრებას, რომ „შემზღვევა“ უნდა იქნეს გაგებული პოზიტიური შინაარსით. თუ „შემზღვევას“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით განვმარტავთ, მაშინ კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა მხოლოდ საკუთრების უფლებაში ნეგატიური ჩარევისაგან დამცავ და სახელმწიფოს შემზღვეველ ნორმად იქცევა. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია სწორად იქნეს გაგებული მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მიზანმიმართულება. სწორედ ამ პუნქტის საფუძველზე უფლებამოსილი სახელმწიფო, რომ საკუთრების სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, დაადგინოს საკუთრების შინაარსი და ფარგლები. „შემზღვევა“ უნდა გავიგოთ, როგორც საკანონმდებლო ჩარჩოების დადგენა სახელმწიფოს მიერ. სხვა შემთხვევაში, ამ ნორმის რეგულირების სფეროდან გავიღოდა ურთიერთობების მთელი კომპლექსი, რომელთა მიმართაც ვერ მოხდება „შემზღვევის“ მისადაგება მისი პირდაპირი მნიშვნელობით.²⁹

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით „მენარმეთა შესახებ“ კანონის (მაშინდელი) 53³ მუხლი, როგორც მინორიტარი აქციონერის აქციაზე საკუთრების შინაარსისა და ფარგლების განმსაზღვრელი და შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, დაუქვემდებარა შემონიშნებას კონსტიტუციურობის თვალსაზრისით კონსტიტუციის (მაშინდელი) 21-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საკუთრების უფლება არა მხოლოდ ინდივიდის და სახელმწიფოს შორის მომწესრიგებელ ურთიერთობათა კატეგორიას წარმოადგენს, არამედ აქვს დამატებით ირიბ-ჰორიზონტალური მოქმედების ფუნქციაც სახელმწიფოს კანონმდებლობითი პროცესის საშუალებით. სახელმწიფოს ვალდებულება,

²⁹ საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება

უზრუნველყოს საკუთრების უფლება, მოითხოვს შესაბამისი სამართლებრივი წესრიგის, მათ შორის, კერძო-სამართლებრივი წესრიგის შექმნას. აქედან გამომდინარე, მოსაზრება, რომ კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმაზე არ ვრცელდება კონსტიტუციის მე-19 მუხლის მოქმედება და შესაბამისად, შეუძლებელია სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასება, მცდარია. ასეთი მიდგომა, კონსტიტუციური კონტროლის სფეროდან გამოიყვანდა სამართლის ნორმების დიდ ნაწილს და ამ სფეროში თვითნებობისათვის ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა.³⁰

3.5. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება და საჯარო ინტერესი

კონსტიტუციის 2018 წლის 23 მარტამდე მოქმედი რედაქციით, საკუთრების უფლებას შეეხებოდა 21-ე მუხლი, რომლის მე-2 პუნქტის თანახმადაც, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დარღვეულიყო საკუთრების უფლების არსი.

საქართველოს კონსტიტუციის 21 -ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტები საკუთრების უფლებაში ჩარევის საფუძვლად და ზღვრად მიიჩნეოდნენ „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“.³¹

აღნიშნული ცვლილების შედეგად, მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა დაშვებულ იქნა არა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში, არამედ, საჯარო ინტერესებისათვის. საკუთრების უფლების ჩამორთმევევაც და შეზღუდვევაც - ორივე დასაშვებია იყო აუცილებელი

³⁰ ავტორთა ჯგუფი. (2013). *ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა*. თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება

საზოგადოებრივი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, თუმცა, საჭირო იყო მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ცნების განსხვავების განსაზღვრა მე-3 პუნქტში მითითებული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ცნებისაგან.³²

კონსტიტუციის ნორმის ცვლილებით, დღეს უფრო მარტივად შესაფასებელია აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის კონსტიტუციურობის საკითხიც. ამის დასტურად, პირველ რიგში, გავეცნოთ განმარტებებს, რომლებიც საჭირო გახდა კონსტიტუციის ძველი რედაქციის 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ ცნების განსაზღვრად.

სასამართლოს განმარტებით, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ არ არის მყარი და ყველა საზოგადოებაზე უნივერსალურად მორგებული ცნება. ის ცვალებადია დროსა და სივრცეში პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მოცემულობების გათვალისწინებით³³.

საზოგადოებრივი საჭიროების“ განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთრების უფლების ობიექტს, მის ბუნებას და სოციალურ დატვირთვას.³⁴ რაც შეეხება უფლების სუბიექტს, საკონსტიტუციო სასამართლოს განსაზღვრული აქვს, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ფაქტორი არ შეიძლება განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ ვინ არის უფლების სუბიექტი, როგორც ცალკე ადამიანი. ვის ხელშიც არ უნდა აღმოჩნდეს სადავო ნორმით განსაზღვრული ობიექტები, სოციალური ტვირთისგან ისინი ვერ გათავისუფლდებიან.³⁵

³² ყიფიანი ნ. საკუთრების უფლების შეზღუდვის კანონისმიერი და სახელმეკრულებო ფარგლები, თბილისი, 2019 წ. სამაგისტრო ნაშრომი, (გვ.11)

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება,

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის #1/14/184,228 გადაწყვეტილება,

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ შინაარსს კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებელი განსაზღვრავს. თუ მოქმედება მიმართულია „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“, ეს არ ნიშნავს, რომ, მაინცდამაინც საზოგადოებისათვის გარდაუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად იგი მიმართული. კანონმდებელი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეიძლება მოქმედებდეს, როდესაც მას ამოძრავებს საზოგადოებისათვის ან მისი ნაწილისათვის დადებითი შედეგების მომტანი მიზნები. ამასთანავე, არ არის აუცილებელი, რომ კანონმდებელმა კონკრეტულად მიუთითოს ნორმაში, თუ რა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ იღებს მას. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობა შეიძლება გაირკვეს ნორმის ანალიზის, მისი განმარტების შედეგად. პირი, რომელიც იყენებს ნორმას, თვითონ კი არ ადგენს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობას ან არარსებობას, არამედ მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს კანონმდებლის მიერ მოაზრებული „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება.“ ხოლო იმას, არის თუ არა კანონმდებლის მოსაზრება „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებასთან“ დაკავშირებით მართებული და კონსტიტუციასთან შესაბამისი, საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს.³⁶

21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ შინაარსი სასამართლოს მიერ საკუთრების სოციალური ბუნებიდან გამომდინარე უფრო ფართოდ განიმარტა, რადგან ფართოდ და თავისუფალი ინტერპრეტაციის გამორიცხვით კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები მიიღებდნენ სიხისტის ისეთ მაღალ ხარისხს, რაც აქვს საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს. ამ სფეროში

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება

კანონმდებელი გაცილებით უფრო თავისუფალია, ვიდრე საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სფეროში. კანონმდებლის მიერ გამოხატული პოზიცია უნდა იყოს დაბალანსებული, მკაფიო, გარკვეული და არ უნდა იძლეოდეს თვითნებობისა და ნორმის ბოროტად, არამიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობას.³⁷

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუციის ძველი რედაქციის 21-ე მუხლით განსაზღვრული „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“, არ გულისხმობს საზოგადოებისათვის გარდაუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად მიმართულ მოქმედებას და აუცილებლად არც სახელმწიფო საჭიროებას გულისხმობს. უნდა ვიხელმძღვანელოთ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ ფართო გაგებით და ამ შემთხვევაში აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება უნდა გავიგოთ, როგორც კორპორაციული ურთიერთობების სრულყოფისა და ჰარმონიზაციის თვალსაზრისით საჭირო ქმედება, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესითაა განპირობებული. მაშასადამე, ზემოთმოყვანილი განმარტებები და მსჯელობები მიმართულია სწორედ იქითკენ, რომ ძველი რედაქციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება აღქმული ყოფილიყო, როგორც საჯარო ინტერესი. შესაბამისად, კონსტიტუციის ცვლილება მე-19 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით აბსოლუტურად ადეკვატურად და გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ.

გარდა ამისა, კონსტიტუციის აღნიშნული ცვლილებით სახეზე აღარ გვაქვს ერთი და იმავე ცნების განსხვავებულად განსაზღვრის საჭიროება. განსხვავებულად განსაზღვრა მნიშვნელოვანი და საჭირო იყო იმდენად, რამდენადაც მე-3 პუნქტით განსაზღვრული „აუცილებელი საზოგადოებრივი

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება

საჭიროების“ ცნება მეორისაგან განსხვავებით ვიწრო და კონკრეტული იყო და ბევრად ნაკლებ შემთხვევას ეხებოდა.

რაც შეეხება საჯარო ინტერესს, ვეთანხმები გადანწყვეტილებაში გამოთქმულ მსჯელობას, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონის ამ მუხლით ხდება ფინანსური აქტივის თვისობრივი შეცვლა. შესაძლებელია, რომ მინორიტარმა აქციონერმა მიღებული თანხა დააბანდოს სხვა საქმეში. მართალია, არ არსებობს სადავო ნორმის მოქმედების რაიმე საზოგადოებრივი საჭიროება, მაგრამ კორპორაციული ურთიერთობების სრულყოფისა და ჰარმონიზაციის თვალსაზრისით ის აუცილებელია. ის ასევე ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ეკონომიკის განვითარებას. მართალია, შესაძლოა ნაკლებად იკვეთება სახელმწიფო ინტერესი, მაგრამ ის ამგვარად არც უნდა იქნეს გაგებული. განსახილველ შემთხვევაში საუბარია საზოგადოებრივ ინტერესზე, სააქციო საზოგადოების ბუნებაზე. შესაბამისად, აქციაზე საკუთრებას სხვა სოციალური დატვირთვა აქვს, რომელიც განპირობებულია არა საჯარო ინტერესით, არამედ თვით ამ საზოგადოების ბუნებით.³⁸

სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ აუცილებელია კანონმდებელმა ისე მოახდინოს კორპორაციული ურთიერთობების მონესრიგება, რომ სააქციო საზოგადოებებს მიეცეთ როგორც არსებული, ასევე პერსპექტივაში რეალურად მოსალოდნელ გარემოებებში მოქნილი სამენარმეო პოლიტიკის გატარების, სამენარმეო ინიციატივის გამოვლენისა და განვითარების შესაძლებლობა. მიმდინარე ეტაპზე, როდესაც ეკონომიკის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უცხოურ ინვესტიციებს, არსებობს საზოგადოებრივი საჭიროება, ჩამოყალიბდეს მკვეთრი სამართლებრივი ჩარჩოები შესაძლო კორპორაციული კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, შეიქმნას კომპანიების შთანთქმის, ლიკვიდაციისა თუ

³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადანწყვეტილება

რეორგანიზაციის ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმი, რომლის განუყოფელ ნაწილს აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი წარმოადგენს. ეს ხელს უწყობს ეფექტურად ორგანიზებული სანარმოების ჩამოყალიბებას, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას.³⁹

ყოველივე ზემოთმოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი ნამდვილად ექცევა კონსტიტუციის მე-19 მუხლის დაცვის სფეროში და ნამდვილად წარმოადგენს შეზღუდვას ამავე მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით. რაც შეეხება თანაზომიერების პრინციპს, ამ მხრივ შესაფასებელია არა ზოგადად ინსტიტუტი, არამედ აქციათა სავალდებულო მიყიდვის თითოეული შემთხვევა.

თავი IV

აქციათა სავალდებულო მიყიდვასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები

4.1. აქციათა სავალდებულო მიყიდვა, როგორც კონტრაჰირების იძულება

კონტრაჰირების იძულება სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. ამ ინსტიტუტის წყალობით ყველაზე თვალსაჩინო ხდება ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ტერმინი „კონტრაჰირების იძულება“ არ გვხვდება. და მეტიც, არც იურიდიულ განმარტებით

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება

ლექსიკონშია დეფინირებული.⁴⁰ ამიტომ, უპირველესყოვლისა, უნდა განიმარტოს მისი მნიშვნელობა. კონტრაქტების იძულება ერთი მხრივ, პირის ვალდებულებას განსაზღვრავს, შეასრულოს კონკრეტული მოქმედება, ხოლო, მეორე მხრივ, იმ პირთა წრეს აზუსტებს, რომელსაც ასეთი სახის ვალდებულება დაეკისრება. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო ნაშრომებში გამოთქმულია მოსაზრება, რომლითაც მეცნიერები ტერმინ „იძულებას“ უკავშირებდნენ პიროვნებას, ანუ კონტრაქტს და რომელზე დაყრდნობითაც, ვალდებულებას საბოლოოდ „კონტრაქტების იძულებად“ მოიხსენიებდნენ. ამგვარი პოზიცია აბსოლუტურად გამართლებული ხასიათისაა, ვინაიდან სამართლის ნორმებით ხდება პირის დავალდებულება, დადოს კონკრეტული ხელშეკრულება. პარალელი რომ გავავლოთ საქართველოში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასთან, შევნიშნავთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარში „კონტრაქტების იძულება“ მოხსენიებულია როგორც „ეგრეთ წოდებული“⁴¹, რაც იმის დასტურია, რომ ტერმინი სამართლის ნორმებში პირდაპირ არ არის განწერილი.⁴²

კანონმდებლობაში კონტრაქტების იძულების საკითხთან მიმართებით საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ევროპელ იურისტ ჰანს კარლ ნიჰერდის. იგი აღნიშნულ ინსტიტუტს შემდეგნაირად აყალიბებს: სამართლებრივი ნორმის საფუძველზე განსაზღვრულ ან განუსაზღვრელ პირთან ხელშეკრულების დადება, რომლითაც ფორმირდება მხარის ნება.⁴³

⁴⁰ ჯორბენაძე ს, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი. 2016 წ, (გვ.162)

⁴¹ ჭანტურია, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 319, (გვ.63)

⁴² ჯორბენაძე ს, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი. 2016 წ, (გვ.162)

⁴³ იქვე, (გვ.162)

კონტრაქტის იძულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებითაა მოწესრიგებული. კონტრაქტის იძულება გულისხმობს განსაზღვრულ შემთხვევებში პირის იძულებას, დადოს ხელშეკრულება ნების არარსებობის შემთხვევაშიც. 319-ე მუხლი ამგვარ იძულებას ბაზარზე პირის დომინირებულ მდგომარეობას და მის სამეწარმეო საქმიანობას უკავშირებს. კანონმდებლის მიზანი სუსტი მხარის-მომხმარებლის დაცვაა, რომლის ინტერესები შეიძლება არსებითად შეილახოს, ამით კი ნორმა სამართლის სოციალურ ფუნქციას ეხმიანება. ასეთი მოსაზრება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ხელშეკრულების დადების ვალდებულებით უნდა დაირღვეს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. კონტრაქტის იძულება უნდა არსებობდეს მხოლოდ მაშინ, თუ ამას მოითხოვს სამოქალაქო ბრუნვის ინტერესები⁴⁴, და იგი ისე უნდა განხორციელდეს, რომ არ დაირღვეს ბალანსი მასსა და ხელშეკრულების თავისუფლებას შორის.⁴⁵

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 319ე მუხლის მოწესრიგებისაგან განსხვავებით, იძულებას ბაზარზე პირის დომინირებულ მდგომარეობას არ უკავშირებს. აქ, ფაქტობრივად, სახეზეა მინორიტარი აქციონერის კონტრაქტის იძულება. ეს არის გარიგება, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, მინორიტარი აქციონერის მიერ მაჟორიტარი აქციონერისათვის აქციების საკუთრებაში გადაცემას, ხოლო, მეორე მხრივ, მაჟორიტარი აქციონერის მიერ მინორიტარი აქციონერისათვის ამ აქციებში სამართლიანი ფასის გადახდას.

მართალია, კონტრაქტის იძულება ერთ-ერთი მხარისთვის სავალდებულოა, მაგრამ მას ახასიათებს ორი უმთავრესი, კერძო-სამართლებრივი ურთიერთობისთვის მნიშვნელოვანი პრინციპი: კეთილსინდისიერებისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპი. თითოეული

⁴⁴ ზოიძე ბ, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005 წ (გვ.275).

⁴⁵ გელაშვილი ი, ხელშეკრულების თავისუფლება, ხელშეკრულების დადების ვალდებულება, თბილისი 2017 წ, (გვ.7)

მათგანის გამოვლინება კონტრაპირების იძულებას, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების ერთ-ერთ სამართლებრივ ინსტიტუტს, წარმოაჩენს. უფრო ზუსტად, ორივე მათგანი კონტრაპირების იძულებას კერძო ავტონომიის ფარგლებში აქცევს.

აქციათა სავალდებულო მიყიდვა, როგორც კონტრაპირების იძულება, საჯარო ინტერესითაა გამართლებული. ის წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას შესაბამისი სანარმოს უკეთესი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. ამასთან, როგორც გადანყვეტილებაში აღინიშნა, აუცილებელია სამართლიანი ბალანსის დაცვა, რათა მინორიტარი აქციონერი დაცული იყოს მაჟორიტარი აქციონერის მიერ ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან.⁴⁶

4.2. აქციათა სავალდებულო მიყიდვის მიზეზი

მენარმეთა შესახებ კანონის 53⁴ (3) მუხლის თანახმად, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოსყიდვის მიზეზების შესახებ. ვინაიდან აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა, შესაძლოა აღქმულ იქნას ერთზე მეტი მიზეზის მითითების აუცილებლობა აღნიშნულ განცხადებაში.⁴⁷

საინტერესოა რას გულისხმობს კანონში ჩანერილი „გამოსყიდვის მიზეზი“? ეს მიზეზი თავად ინსტიტუტის არსიდან გამომდინარეობს, როგორც აქციათა არანაკლებ 95 %-ის ფლობა გამომსყიდველი აქციონერის მიერ თუ რაიმე დამატებითი მიზეზი იგულისხმება, მაგალითად როგორცაა ხელშეშლა მინორიტარი აქციონერების მიერ?

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადანყვეტილება

⁴⁷ ლონდარიძე მ, იურიდიული პირი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი. გვ 19. თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. 2013 წ.

სავარაუდოდ, აღნიშნულ ჩანაწერში არ უნდა მოიაზრებოდეს აქციათა 95%-ის ფლობა, რადგან ეს ფაქტი წინაპირობაა ამ უფლების გამოყენებისა.

რაც შეეხება მცირე აქციონერების მიერ ხელშეშლას საზოგადოების საქმიანობაში, ხშირად ეს. როგორც აღინიშნა, გამოიხატება სასამართლო პროცესების უსაფუძვლოდ წარმოებით, რითაც კომპანიას რეპუტაცია ერყვევა და ინვესტორებსაც კარგავს. ერთი მოსაზრებით, მინორიტარი აქციონერების განდევნის გამართლება ვერ იქნება ის, რომ ისინი იყენებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს, მათ შორის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას.⁴⁸ არ ვეთანხმები აღნიშნულ პოზიციას, ვინაიდან, აქციათა სავალდებულო მიყიდვას არ მივიჩნევ „სადამსჯელო“ ღონისძიებად, რომელსაც მაჟორიტარი აქციონერები მიმართავენ მცირე აქციონერების მიმართ, რათა მათი უსაფუძვლო სასამართლო პროცესები აღკვეთონ.

აგრეთვე, არ ვეთანხმები პოზიციას, რომელიც მცირე აქციონერთა აქციების სავალდებულო გასხვისებისას პარალელს ავლებს მცირე საკუთრების მქონე ადამიანებთან მიმართებაში, და ასკვნის, რომ ვინც მინიმალური ქონების მფლობელია, საკუთრების უფლებას მოკლებულია.⁴⁹

აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის არსებობა მაჟორიტარი აქციონერებისათვის უკეთესი პირობის შექმნას და მინორიტართა „დაჩაგვრას“ კი არ უკავშირდება, არამედ, უპირველესყოვლისა საწარმოს განვითარებასა და წინსვლას. „უბილეთო მგზავრის პრინციპს“⁵⁰ ებრძვის უამრავი სახელმწიფო და აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი აღიარებულია, რომ საწარმოთა უკეთეს ფუნქციონირებას ემსახურება. შესაბამისად, იმისათვის, რომ მაჟორიტარმა

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება

⁴⁹ ლონდარიძე მ. იურიდიული პირი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი. თეზისი, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. 2013 წ. (გვ 19)

⁵⁰ Tom Vos, “Baby, it’s cold outside.” –A comparative and economic analysis of freeze-outs of minority shareholders, 2018 (გვ.7)

აქციონერებმა კანონით მინიჭებული უფლება გამოიყენონ როდესაც მათი აქციები 95%-ს მიაღწევენ (ან სხვადასხვა ქვეყნებში შესაბამის დადგენილ ზღურბლს), არ არის აუცილებელი სანარმო უკიდურესად მძიმე ვითარებაში იმყოფებოდეს.

სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყურადღებას უნდა ამახვილებდეს არა გამოსყიდვის მიზნებზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად სამართლიან ფასად ხდება სავალდებულო მიყიდვა და რამდენად დაცულია ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმები.

მაშასადამე, 53⁴ (3) მუხლის ჩანაწერი „გამოსყიდვის მიზნების შესახებ“ სასამართლოსთვის ფორმალური დატვირთვის მატარებელია, ვინაიდან რეალურად, გამოსყიდვის მხოლოდ ერთი მიზეზი - აქციათა 95%-ის ფლობა არსებობს. სოციალური საჭიროება, როგორც ეს მითითებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში და საჯარო ინტერესი ისედაც აშკარაა ინსტიტუტის მიზნებიდან გამომდინარე და საკუთრების უფლების შეზღუდვის თანაზომიერების პრინციპთან მიმართებაში ერთადერთი დაბრკოლება სამართლიანი ანაზღაურებაა.

4.3. სამართლიანი ფასის პრინციპი

როგორც ზემოთ აღინიშნა, აქციათა სავალდებულო მიყიდვა ინვესტორის, როგორც აქციონერის საკუთრების უფლებაში უხეში ჩარევაა. შესაბამისად, იმისათვის, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვა კონსტიტუციის მე-19 მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლების თანაზომიერ შეზღუდვად ჩაითვალოს, ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, აქციათა გაყიდვის სანაცვლოდ მცირე აქციონერმა მიიღოს სამართლიანი ანაზღაურება.

4.3.1. სამართლიანი ფასის ცნება და მნიშვნელობა

ზოგადად, გარიგების ფასი, როგორც სოციალური კატეგორია, არსებობს ქონებრივი რესურსების გაცვლის მიზნებისათვის. გარიგებების დადებით, მისი მონაწილე მხარეები უშუალოდ აწესრიგებენ მათ შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, რაც, პირველ რიგში, ქონების შეძენის, მისი განკარგვის შესაძლებლობას გულისხმობს. გარიგების მხარეებს სრულად უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, სახელმწიფოსაგან ყოველგვარი ჩარევის გარეშე განსაზღვრონ გარიგების როგორც ფასი, ისე მისი შინაარსი და სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სახის ჩარევა „სამართლიანი ფასის“ თუ „საბაზრო ფასის“ სტანდარტების შემოღებით, იმგვარად, რომ გარიგების მხარეთა ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებული ხდებოდეს ამ გარეგან ფაქტორებზე, დაუშვებელია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. თუმცა, სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს კერძო პირთა შორის დადებული გარიგების პირობებში, მაშინ როდესაც მათი შეთანხმება თავისუფალ ნებას ემყარება.⁵¹

აქციათა გამოსყიდვის დროს საკონტროლო პაკეტის მქონე აქციონერი ახორციელებს კანონით მინიჭებულ უფლებას, რომ აიძულოს უმცირესობაში მყოფი აქციონერები მიჰყიდონ თავიანთი აქციები. ამ მხრივ, სავალდებულო სატენდერო შეთავაზებაც და სავალდებულო მიყიდვაც იძულებითი კონტრაქტების მაგალითებია და როგორც უკვე აღინიშნა საკუთრების უფლების შეზღუდვას წარმოადგენს. ერთადერთი საშუალება, რაც მცირე აქციონერებს გააჩნიათ თავიანთი ინტერესების დასაცავად, სამართლიანი ფასის დადგენა და ღირებულების შესაბამისად ანაზღაურებაა.

მაშასადამე, აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამართლიანი ფასის პრინციპი და

⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება

აუცილებელია, რომ კანონმდებლობა უზრუნველყოფდეს მათთვის სათანადო კონპენსაციას. ამასთან, მნიშვნელოვანია კანონმდებელმა იპოვოს „ოქროს შუალედი“, რადგან თუ დადგენილი კომპენსაცია შეუსაბამოდ მაღალი აღმოჩნდება, დაიკარგება თვითონ აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის მიზანი- შეუსაბამოდ მაღალი ფასი შეაფერხებს საწარმოს დაუფლების პროცესს და ქართულ ბაზარზე ინვესტორების მოზიდვას, ხოლო შეუსაბამოდ მცირე კომპენსაცია მცირე აქციონერების უფლებებს შელახავს.

„მენარმეთა შესახებ“ კანონი ამბობს, რომ სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისას აქციისათვის გადასახდელი ფასი უნდა იყოს სამართლიანი, თუმცა სამართლიანი ფასის კონკრეტულ და ლეგალურ დეფინიციას არ იძლევა. კანონის მიხედვით, სამართლიანი ფასი დადგენილი უნდა იყოს დამოუკიდებელი შემფასებლის, აუდიტორის ან საბროკერო კომპანიის მიერ.

სამართლიანი ფასის პრინციპზე მსჯელობისას, მიმაჩნია, რომ პირველ რიგში უნდა მიმოვიხილოთ 53³ მუხლის საკანონმდებლო ცვლილება.

4.3.2. სამართლიანი ფასის დადგენა მენარმეთა კანონის ძველი რედაქციით

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 53³ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული იყო ამავე კანონის 53² მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვით, არსებობდა სამართლიანი ფასის დადგენის ორგვარი პროცედურა:

პროცედურა შესაძლებელია გათვალისწინებული ყოფილიყო სააქციო საზოგადოების წესდებით. ხოლო თუ წესდებაში ეს საკითხი მონესრიგებული არ იყო, სამართლიან ფასს ადგენდა დამოუკიდებელი ექსპერტი ან საბროკერო კომპანია.

დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას ევალებოდა გამოსყიდვის ანგარიშის შედგენა, რომელშიც მიეთითებოდა გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, აქციათა სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და ამის საფუძველზე განსაზღვრული აქციათა ფასი. შეფასებისას აქციონერისათვის მიყენებული ზიანისათვის დამოუკიდებელი ექსპერტისა და საბროკერო კომპანიის პასუხისმგებლობა გათვალისწინებული იყო მათი მთელი ქონების ფარგლებში. დადგენილი იყო აგრეთვე სამართლიანი ფასის ქვედა ზღვარი – ის არ უნდა ყოფილიყო ნაკლები ყველაზე მაღალ ფასზე, რომელიც გამოსყიდვის განმხორციელებელმა აქციონერმა ბოლო 12 თვის განმავლობაში გადაიხადა ამ საზოგადოების აქციაში.

სამართლიანი ფასის დადგენის მექანიზმი სრულიად არ იყო სამართლიანი.

თუ ფასის გამოთვლის მეთოდი სააქციო საზოგადოების წესდებით იყო განსაზღვრული, ნათელია, რომ მაჟორიტარს მანიპულირების საშუალება ექნებოდა. რაც შეეხება დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის მიერ სამართლიანი ფასის დადგენას, ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს სამართლიანი ფასის დადგენისას მინორიტარი აქციონერის უფლებების დარღვევის რისკი მცირდება. ამას უზრუნველყოფს გამოსყიდვის ანგარიშის შედგენის ვალდებულება, სადაც აისახება გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და აქციათა ფასი, და ასევე ის, რომ დამოუკიდებელი ექსპერტი ან საბროკერო კომპანია აქციონერისათვის დაუდევრობით ან განზრახ არასწორი შეფასებით ზიანის მიყენებისათვის მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს.⁵² თუმცა, მუხლის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი იყო ის, რომ მაჟორიტარი აქციონერი გადამწყვეტ როლს თამაშობდა

⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება

აქციათა სამართლიანი ფასის დადგენის პროცესში. დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის შერჩევის დროსაც კი მაჟორიტარი აქციონერი იყო ის პირი, ვისაც გააჩნდა არჩევანის გაკეთების დისკრეცია. ეს ზრდიდა ისეთი ექსპერტის/კომპანიის შერჩევის ალბათობას, რომელიც ადვილად დათანხმდებოდა სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით ისეთი ანგარიშის დაწერაზე, რომელშიც შემძენის ინტერესები იქნებოდა გათვალისწინებული.⁵³

სამართლიან ფასთან მიმართებაში 53³ მუხლის მეორე პუნქტის მეორე წინადადებით აქციათა მინიმალური ფასი არ შეიძლება ყოფილიყო იმაზე ნაკლები, ვიდრე შემსყიდველის მიერ ბოლო 12 თვის განმავლობაში ამ სააქციო საზოგადოების აქციებში გადახდილი ყველაზე მაღალი ფასი. კანონით არ იყო გათვალისწინებული სამართლიანი ფასის ქვედა ზღვარი იმ შემთხვევებში, როდესაც ბოლო 12 თვის განმავლობაში გამოსყიდვის განმახორციელებელ აქციონერს სააქციო საზოგადოების აქციები არ შეუძენია ან ამ აქციებით ვაჭრობა საერთოდ არ ხორციელდებოდა.⁵⁴

თავდაცვის მექანიზმად, მცირე აქციონერებს, რომლებიც დადგენილ ფასს არ ეთანხმებოდნენ შეეძლოთ მიემართათ სასამართლოსათვის განსხვავებული ფასის დადგენის მიზნით. თუ სასამართლო ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა და ფასს გაზრდიდა, ეს ფასი უნდა გადახდილიყო ყველა შეძენილ აქციაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი მინორიტარი აქციონერისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებით ისარგებლებდნენ სხვა მცირე აქციონერებზე და საკუთარი აქციების ნაცვლად უფრო მაღალ ანაზღაურებას მიიღებდნენ. ხოლო იმ შემთხვევაში თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებდა მოთხოვნას თანხის გაზრდასთან დაკავშირებით, აქციონერები მიიღებდნენ საბროკერო კომპანიის ან ექსპერტის მიერ დადგენილ საფასურს.

⁵³ ნოზაძე, ა. (2012). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა, ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა.(გვ.13)

⁵⁴ ნოზაძე, ა. (2012). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა, ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა.(გვ.13)

4.3.3. სამართლიანი ფასის დადგენა დღეს მოქმედი კანონმდებლობით

მენარმეთა შესახებ კანონის 53⁴ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აქციათა გამოსყიდვის სამართლიან ფასსა და თარიღს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებით. აღნიშნული პროცესი დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავი XXXIV² თავით, რომელიც ამავე კოდექსის მეხუთე კარშია ინკორპორირებული და, ამასთანავე, გამარტივებულ სამართალწარმოებას მოიცავს.

აღნიშნული მოწესრიგებით, ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას ნიშნავს უშუალოდ სასამართლო, თუმცა მას შეუძლია გაითვალისწინოს მხარეთა მოსაზრებებიც. სასამართლომ აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს ამ აქციების ღირებულება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ასევე, საზოგადოების მიერ მომავალში მისაღები სავარაუდო შემოსავლები და საზოგადოების აქტივები (მათ შორის, საწარმოს რეზერვები, საწარმოს საქმიანი რეპუტაცია, გამოცდილება, პერსპექტივები და საქმიანი კავშირები) და პასივები.

შედარებისთვის, სამართლიანი ფასის დადგენის ძირითადი განსხვავება ძველ და ახალ რედაქციებს შორის არის ის, რომ დღეს სამართლიანი ფასის დადგენა სასამართლოს უფლებამოსილებაა. თუ კი ძველი რედაქციით მაჟორიტარ აქციონერს შეეძლო თვითონ აერჩია ექსპერტი ან საბროკერო კომპანია, დღეს აქციათა სამართლებრივ ღირებულებას სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტები ადგენენ. აქედან გამომდინარე, კანონის დღევანდელი რედაქცია მეტად უზრუნველყოფს,

რომ მაჟორიტარ აქციონერს ექსპერტზე უკანონო ზეგავლენის მოხდენის ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდეს.⁵⁵

როგორც ზემოთ აღინიშნა, აქციათა გამოსყიდვის თარიღსა და სამართლიან ფასს განსაზღვრავს სასამართლო სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი ადგენს ექსპერტიზის დანიშვნის ზოგად წესს. ამ ნორმის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით, მოტივირებული განჩინებით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. მიუხედავად ამ ზოგადი დანაწესისა, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შემთხვევაში სპეციალური ნორმით ვხელმძღვანელობთ, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ განცხადების წარმოებაში მიღებიდან სასამართლო ნიშნავს დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან ამ მოქმედების განხორციელება წარმოადგენს მის ვალდებულებას.

სასამართლო პრაქტიკა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული ნორმების ანალიზით ადგენს, რომ მოსამართლის როლი მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში მინიმალისტური, თუმცა, არსებითია.⁵⁶ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შემთხვევაში ეს როლი არსებითიცაა და განმაპირობებელიც. კანონში ეს ვალდებულება ხაზს უსვამს თუ რამდენად კომპლექსური მოვლენაა სამართლიანი ფასის დადგენა და რამდენად მნიშვნელოვანია იგი აქციათა სავალდებულო მიყიდვის დროს.

⁵⁵ ნოზაძე, ა. (2012). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა, ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა. (გვ.16)

⁵⁶ ავტორთა ჯგუფი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, (გვ.421)

მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ საქართველოს საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. აქციათა სავალდებულო მიყიდვის დროს, ზემოთ მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, კანონით დადგენილი მტკიცებულებაა არა ზოგადად ექსპერტის დასკვნა, არამედ მხოლოდ სასამართლოს მიერ დადგენილი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის მიერ მიღებული დასკვნა.⁵⁷

მაშასადამე, სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს მხოლოდ მისივე დანიშნული ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის დასკვნით, მაგრამ როგორც 309¹² მუხლში ვკითხულობთ, დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის შერჩევის დროს სასამართლო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხარეთა მოსაზრებებიც. ასევე, მხარეები შეზღუდული არ არიან შესთავაზონ სასამართლოს დასანიშნი პირის კანდიდატურები. თუმცა, საბოლოოდ, საკითხს იმის შესახებ, თუ ვის მიენდოს გამოსყიდვის ანგარიშის შედგენა, წყვეტს სასამართლო. ნორმის მე-3 ნაწილი სასამართლოს დისკრეციას ანიჭებს, რომ არ გაითვალისწინოს მხარეთა კანდიდატურები და დანიშნოს სრულიად სხვა ექსპერტი ან საბროკერო კომპანია.⁵⁸

კიდევ ერთ საკითხია, უფლებამოსილია თუ არა სასამართლო აქციის გამოსყიდვის ფასის დასადგენად დანიშნოს განმეორებითი ან დამატებითი ექსპერტიზა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და სასამართლო მას აფასებს 105-ე მუხლით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის

⁵⁷ კეკელიძე გ., ხერხეულიძე დ. (2013). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა-ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საკანონმდებლო რეგულაციის მიმოხილვის ქრილში*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა. (გვ.44)

⁵⁸ კეკელიძე გ., ხერხეულიძე დ. (2013). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა-ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საკანონმდებლო რეგულაციის მიმოხილვის ქრილში*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა (გვ.45)

173-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა, თუ დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია. მაგალითისათვის, ექსპერტი განსაზღვრავს აქციის არა სამართლიან ფასს, არამედ სავარაუდო ფასის ფარგლებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია არასრული ექსპერტიზის დასკვნის არსებობისას დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, შესაძლებელია სასამართლომ განმეორებითი ექსპერტიზა დანიშნოს, თუ ექსპერტის დასკვნა დაუსაბუთებელია. შესაბამისად, სასამართლო არ არის შეზღუდული აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე ექსპერტიზის დასკვნის მოცემულობით, არამედ ვალდებულია შეათვასოს მისი დასაბუთებულობა და შეაჯეროს იგი მცირე აქციონერის პრეტენზიასთანაც (თუკი ასეთი წარმოდგენილი იქნება) და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.⁵⁹ ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, თუ სასამართლოს უფლებამოსილება, დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა, ჩანაცვლდებოდა სასამართლოს ვალდებულებით. მით უფრო ქართულ რეალობაში, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საფონდო ბირჟა განვითარებული არ არის.

პრაქტიკაში დაფიქსირებულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც სასამართლომ თითქმის ორჯერ გაზარდა სამართლიანი ღირებულების ფასი. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ განსაზღვრა აქციათა სამართლიანი ფასი 8.79 ლარი, რაც აქციონერებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული დასკვნა არასრული, დაუსაბუთებელი იყო და არ წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹²-ე მუხლით გათვალისწინებულ აქციათა გამოსყიდვის სამართლიან ანგარიშს. საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო

⁵⁹ კეკელიძე გ. ხერხეულიძე დ. (2013). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა-ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საკანონმდებლო რეგულაციის მიმოხილვის ქრილში*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა (გვ.46)

სასამართლოს, რომელმაც მოიწვია დამოუკიდებელი ექსპერტი სამართლიანი ფასის განსაზღვრისთვის. შედეგად სამართლიანი ფასი 15 ლარამდე გაიზარდა.⁶⁰ ვეთანხმები მსჯელობას, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ გადანაცვტილებაში მიუთითებდნენ აქციების საბაზრო ღირებულებასაც, ეს სამართლიანი ღირებულების და საბაზრო ღირებულების შეფარდების შესაძლებლობას მოგვცემდა.⁶¹ ვფიქრობ, ზემოთხსენებული რეკომენდაცია, სასამართლო ნიშნავდეს განმეორებით ექსპერტიზას, სასარგებლო იქნებოდა ამ შემთხვევაშიც, რადგან ზემდგომ სასამართლოს განსახილველი იქნებოდა ორჯერ შეფასებული და სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ფასი. უფრო მეტიც, ასეთი ორმაგი ექსპერტიზის დანიშვნა შეიძლება ზემდგომი სასამართლოების განტვირთვის პრევენციადაც მოვიხაზროთ.

⁶⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის გადანაცვტილება N2/7147-12

⁶¹ მაისურაძე დ, იამანიძე ი, შაკიაშვილი ი. (2019). *ინვესტიციის დაცვის სამენარმეო-სამართლებრივი ინსტიტუტების მცირე ექსკურსი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით*. მართლმსაჯულება და კანონი.(გვ.117)

თავი V

აქციონერები და საწარმო აქციათა სავალდებულო მიყიდვის დროს

5.1. თანაბარი მოპყრობის პრინციპი

სააქციო სამართალი აღიარებს „აქციონერთა თანასწორი მოპყრობის პრინციპს“. აქციონერთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი, რომელსაც სააქციო სამართალი განამტკიცებს, ყურადღებას ამახვილებს „საზოგადოებასა და საზოგადოების წევრებს (აქციონერებს) შორის ურთიერთობაზე. მინორიტარი ფასიანი ქაღალდების მფლობელები უნდა იყვნენ თანაბარ პირობებში და სარგებლობდნენ ერთნაირი ინფორმაციის მიღების უფლებით (განსაკუთრებით სატენდერო შეთავაზების დროს). ინფორმაციული თანასწორობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათ ერთნაირად უნდა შეეძლოთ სასურველი და ხელსაყრელი შეთავაზების შემცველი წინადადების მიღება და ამისათვის უნდა ჰქონდეთ თანაბარი დროც. კანონის ანალოგიით თანასწორობის პრინციპი უნდა გავრცელდეს აგრეთვე შემთავაზებლებზეც.⁶²

რაც შეეხება ზოგად, უნივერსალურ თანასწორობას სააქციო საზოგადოებაში, ასეთ აბსოლუტურ თანასწორობას ეწინააღმდეგება თავად სააქციო საზოგადოების, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბუნება. სააქციო საზოგადოება არის ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სადაც გადაწყვეტილების მიღებასა და მართვაში მონაწილეობა საწარმოში მონაწილეობის მასშტაბებზეა დამოკიდებული. წილობრივ მაჩვენებელზეა, აგრეთვე, დამოკიდებული უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ფარგლებიც. სააქციო საზოგადოებისათვის

⁶² ბურდული ი, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა, „მართლმსაჯულება“ N2, 2007 წ, (გვ.14)

დამახასიათებელი „უმრავლესობის პრინციპი“ გამორიცხავს მინორიტართა და მაჟორიტართა თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით აღჭურვას. ამის მარტივი მაგალითია მენარმეთა შესახებ კანონის 54-ე მუხლის 1¹ პუნქტი, რომლის თანახმადაც თუ სააქციო საზოგადოებაში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას, საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი და ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია. მაშასადამე, სააქციო საზოგადოებაში განსხვავებული წილობრივი მონაწილეობის მქონე აქციონერების თანასწორ სუბიექტებად ჩამოყალიბება შეუძლებელია თვით ამ საზოგადოების ბუნებიდან გამომდინარე.⁶³

ძირითადი იურისდიქციები თანაბარი მოპყრობის ფაქტორების მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ზოგადად, კონტინენტური ევროპის იურისდიქციებში, და განსაკუთრებით იმ იურისდიქციებში, რომლებმაც გერმანული სამართლის ძლიერი გავლენა განიცადეს, თანაბარი მოპყრობა ფართო პრინციპად (ან სამართლის წყაროდ) მიიჩნევა, რომელიც გამოისახება საკორპორაციო სამართლის ყველა ასპექტში. გერმანია და იაპონია ამ პრინციპს ასევე ფართო საკანონმდებლო ჩანაწერის ფორმას ანიჭებენ. ამისგან განსხვავებით, საერთო სამართლის იურისდიქციები – აშშ და დიდი ბრიტანეთი – თანაბარი მოპყრობის პრინციპს კანონით ან სასამართლო პრაქტიკით აზუსტებენ კონკრეტულ კონტექსტში, თუმცა არ აღიარებენ მას, როგორც ზოგად სამართლებრივ სტანდარტს, რომელიც განსხვავებულია შეზღუდვის სტანდარტისგან, როგორცაა მაკონტროლებელი აქციონერის მოვალეობა, სამართლიანად მოეპყროს მინორიტარ აქციონერებს.⁶⁴

⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება

⁶⁴ ავტორთა ჯგუფი, საკორპორაციო სამართლის ანატომია, 2019 წ. (გვ.132)

აღნიშნულთან დაკავშირებით, მინდა შევეხო ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადანყვეტილებას, რომელშიც გამოიკვეთა, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვა არ განიხილება როგორც უთანასწორო მოპყრობა აქციონერთა მიმართ.

ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი მოიცავს კომპანიის წილებზე საკუთრების უფლებას. კერძოდ, აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ 1982 წელს საქმეში: *Bramelid and Malmström v. Sweden*. (განაცხადის N N. 8588/79, 8589/79; 1982). წინამდებარე საქმე ეხებოდა ორ კერძო პირს, რომლებიც ფლობდნენ წილებს სტოკჰოლმის ცნობილ სავაჭრო დაწესებულებაში. 1977 წელს, ახალი სამეწარმეო აქტი იქნა მიღებული, რომლის მიხედვითაც: ნებისმიერი კომპანია, რომელიც ფლობდა 90%-ზე მეტი ხმის მიცემის უფლების მქონე აქციებს, უფლებამოსილი იყო უმცირესობაში მყოფ სხვა აქციონერებისთვის მოეთხოვა და იძულების წესით დაეთმობინებინა მათი დარჩენილი წილები თავდაპირველად ნაყიდ ფასში, თუ აქციები საჯარო შეთავაზების შედეგად იქნა შეძენილი, ან სხვაგვარად, არბიტრების მიერ ფიქსირებული ფასით. უმცირესობაში მყოფმა აქციონერებმა საჩივრით მიმართეს ევროკომისიას, ახალი კანონის მათზე მოქმედების და გავრცელების შესახებ. კერძოდ, მენილეები დავობდნენ, რომ მათ უნდა დაეთმოთ საკუთარი წილები უმრავლესობაში მყოფი აქციონერების სასარგებლოდ წილების საბაზრო ღირებულებაზე უფრო ნაკლებ ფასად (საბაზრო ღირებულება არბიტრების მიერ იყო დადგენილი). ევროკომისიამ მიიჩნია, რომ ახალი კანონის უმცირესობაში მყოფი აქციონერების მიმართ გავრცელება არ ხვდებოდა მეორე წესის - „ჩარევის“ ფარგლებში, რადგან ეს წესი „ექსპროპრიაციის საკითხებისთვის იყო განკუთვნილი, რაც საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე საკუთრების უფლების ჩამორთმევას გულისხმობს. ხოლო სადავო საკითხი ეხებოდა კერძო პირებს შორის დავას.

კომისიამ მიიჩნია, რომ ამგვარი წესი, რომელიც აუცილებელია ლიბერალურ საზოგადოებაში, არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან. თუმცა კომისიამ მაინც აღნიშნა, რომ როდესაც, კანონმდებლობა გავლენას ახდენს პირებს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე, სამართლებრივმა ნორმებმა არ უნდა მოახდინონ და შექმნან ისეთი უთანასწორობა, რომ გარიგების ერთმა პირმა თვითნებურად და უკანონოდ წაართვას საკუთრება მეორე პირს. ამ შემთხვევაში, კომისიამ ვერ დაადგინა ასეთი უთანასწორობა.⁶⁵

5.2. ბალანსი მხარეებს შორის

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საკუთრების უფლების ერთ-ერთი კომპონენტის „გასხვისების“ კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ საქმეში, რომელიც შეეხებოდა აქციათა სავალდებულო მიყიდვის წესს. განისაზღვრა ის სტანდარტი, რომელსაც უნდა პასუხობდეს საკუთრების სავალდებულო გასხვისების კონკრეტული შემთხვევა: „კანონმდებელმა ისე უნდა ჩამოაყალიბოს აქციათა სავალდებულო მიყიდვის მომწესრიგებელი ნორმა, რომ დაიცვას სამართლიანი ბალანსი მხარეებს შორის, გამორიცხოს ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. მინორიტარ აქციონერს სრული უფლება აქვს იცოდეს, თუ რატომ ხდება მისი კუთვნილი აქციების მაჟორიტარი აქციონერის საკუთრებაში გადასვლა. მას უნდა ჰქონდეს თავისი პოზიციის გამოხატვისა და დაცვის სამართლებრივი საშუალება. მაჟორიტარი აქციონერის სურვილი, საკუთრებაში ჰქონდეს აქციების სრული პაკეტი, გასაგები და ბუნებრივია, მაგრამ საკუთრების უფლების შეზღუდვის გამართლებას არ წარმოადგენს. ერთერთი აქციონერის ხელში აქციების 95%-ის ან მეტის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს აქციათა სავალდებულო მიყიდვის სოციალური საჭიროების გაჩენას. აქციათა

⁶⁵ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sakutrebis-ufleba1.pdf>

სავალდებულო მიყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას შესაბამისი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის.⁶⁶

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი იურისქდიქციით, მინორიტარ აქციონერს მცირე კომპანიაში შეუძლია, რომ სადავოდ გახადოს მაკონტროლებელი აქციონერის გადანყვეტილება შევიწროების ან უფლების ბოროტად გამოყენების საფუძვლით, როდესაც მინორიტარი აქციონერი თავისუფლდება საწარმოში დასაქმებულის ან ბორდის წევრის თანამდებობიდან, თუ აქციონერები სწორედ ამ ფორმით იღებენ საწარმოდან კომპენსაციას.⁶⁷

5.3. ინტერესთა შეპირისპირება

მინორიტარი აქციონერისათვის მთავარი ინტერესი რაც შეიძლება მეტი სარგებლის მიღებაა. მცირე აქციონერები სააქციო საზოგადოების ბუნებიდან გამომდინარე საწარმოს პოლიტიკის დაგეგმვაზე ვერ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას. მათთვის საზოგადოებაში დარჩენის სურვილი - რომელიც როგორც აღვნიშნეთ სარგებლის მიღებაა- დივიდენდების მიღების სურვილში გამოიხატება. დივიდენდებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გადანყვეტილებას დივიდენდების გაცემის შესახებ სააქციო საზოგადოების მმართველობითი ორგანო იღებს, სადაც უმრავლესობას უფლება აქვს დივიდენდები აქციონერებზე არ გაანაწილოს. გარიყვის ტიპური ღონისძიებებია დივიდენდის განაწილებაზე უარის თქმა, მცირე აქციონერისათვის საწარმოში დასაქმებაზე უარის თქმა, საწარმოს მართვაში მცირე აქციონერის მონაწილეობის არდაშვება, კორპორაციის მოგების მხოლოდ უმრავლესობაში მყოფ აქციონერზე განაწილება მისთვის მაღალი

⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადანყვეტილება

⁶⁷ ავტორთა ჯგუფი, საკორპორაციო სამართლის ანატომია, 2019 წ. (გვ.134)

ხელფასის, პრემიის, ბონუსის გამონერის მეშვეობით. ხშირად ეს მეთოდები კომბინაციაში გამოიყენება.⁶⁸ ასეთი გადანყვეტილებების შედეგად მცირე აქციონერებს ის ერთადერთი მიზეზიც უქრებათ, რის გამოც საზოგადოებაში დარჩენა სურდათ. ჩნდება კითხვა, რამდენად უღირს აბსოლუტურ უმცირესობაში მოქცეულ აქციონერს დარჩენა ამ კომპანიაში, სადაც რეალური ბერკეტები უმრავლესობის ნების წინააღმდეგ არ ექნება? რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება იგი ამ საწარმოსთვის?

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადანყვეტილებაში აღნიშნა, რომ „ქონების ფლობას აზრი დაეკარგება, თუკი სუბიექტის ქონებრივი უფლებები შინაარსგამოცლილი გახდება. საკუთრების შინაარსი მაშინაა გარანტირებული, როცა მესაკუთრეს შეუძლია საკუთრებაში მოაზრებული უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელება საკუთრების ობიექტის ფუნქციით დეტერმინირებული ნების მიხედვით.“⁶⁹

ასეთ პირობებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ კომპენსაციის მიღება საკმაოდ ხელსაყრელია, მცირე აქციონერისათვის, რადგან ამგვარად, მას ექნება საშუალება, მიღებული თანხა სხვა საქმიანობისთვის გამოიყენოს.⁷⁰

მიუხედავად ამისა, ხშირია, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის აღსრულება სწორედ მინორიტარის სურვილის საწინააღმდეგოდ ხდება. მართალია, მცირე აქციონერს, რომელიც საწარმოსგან ვერაფრით „ხეირობს“, კანონი საკუთრების გადარჩენის შესაძლებლობას ანიჭებს იმით, რომ აქცია მატერიალურ აქტივად გარდაქმნას, მაგრამ ვეთანხმები ბატონ ირაკლი ბურდულის მსჯელობას, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს, თუ რამდენად

⁶⁸მაისურაძე დ, კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას (შედარებითსამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2014წ, (გვ.37)

⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადანყვეტილება, II.3.26.

⁷⁰ ნოზაძე, ა. (2012). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა, ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა.(გვ.6)

ერთადერთია აღნიშნული გზა. სააქციო სამართალში განმტკიცებულია აქციის თავისუფალი გასხვისების პრინციპი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, აქციონერმა გაასხვისოს კუთვნილი აქცია და მიიღოს სათანადო ანაზღაურება. შესაბამისად, უმცირესობაში მყოფ აქციონერს ასევე აქვს შესაძლებლობა, დაელოდოს საწარმოს განვითარებას და რამდენიმე ხნის შემდეგ უფრო მომგებიანად გაყიდოს თავისი აქცია.⁷¹ თუმცა, აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი მას არ აძლევს საშუალებას ქონების განკარგვის დრო თავად აირჩიოს.

მაშინაც კი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ ეს სამართლებრივი ინსტიტუტი კონსტიტუციის შესაბამისია, ჩნდება აქციათა სამართლიანი ფასის არასწორად განსაზღვრის პრობლემა, რომელიც შეიძლება აქციათა სავალდებულო მიყიდვის უსამართლოდ აღსრულების მიზეზი გახდეს. სამართლიანი ფასის დადგენის მეთოდები უფრო საფრთხილოა, როდესაც საწარმოს აქციები არ იყიდება საფონდო ბირჟაზე, ან როდესაც საფონდო ბირჟა სათანადოდ განვითარებული არ არის. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.⁷²

ძალიან მნიშვნელოვანია მაჟორიტარი აქციონერების და თავად საწარმოს ინტერესიც. სააქციო საზოგადოებაში, ისევე როგორც ნებისმიერ საწარმოში კომპანიის სათანადო მართვა უმრავლესობის ინტერესია. ეს ინტერესი წარმოშობს უფრო მეტი მოგების მიღებასაც და ზოგადად, საწარმოს ეფექტურ განვითარებას.

კომპანიის სათანადო მართვასა და განვითარებაში ხშირად ხელშემშლელი როლი სწორედ მცირე აქციონერებს აქვთ. უმცირესობაში

⁷¹ ბურდული ი, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა, „მართლმსაჯულება“ N2, 2007 წ, (გვ.32)

⁷² ნოზაძე, ა. (2012). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა, ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა. (გვ.7)

მყოფი აქციონერები აღჭურვილი არიან ისეთი უფლებებითაც, რომლებიც შეიძლება ბოროტად გამოიყენონ და ამით მთლიანად სააქციო საზოგადოება დააზარალონ. მაგალითად, სასამართლოში დავების წარმოების შედეგად, (როდესაც ეს აუცილებელი არ არის), კომპანია მრავალრიცხოვან სასამართლო პროცესებშია ჩართული, და ხელი ეშვება, იმოქმედოს საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. შედეგად, კომპანია კარგავს ბიზნესპარტნიორების ნდობას და, შესაბამისად, ბიზნეს შესაძლებლობებს. ამ ყველაფრით, ბუნებრივია, კორპორაცია კარგავს ფინანსურ სიძლიერეს და პოტენციური ინვესტიციების რაოდენობას.

მაჟორიტარების ასეთი „მებრძოლი“ ბუნების პარალელურად ვხედავთ, რომ უმცირესობაში მყოფი აქციონერები ზოგ შემთხვევაში მხოლოდ მოგებას ინაწილებენ და კომპანიის მართვაში მონაწილეობას არ იღებენ.

აქციათა სავალდებულო მიყიდვამ თავისი მიზანი ისე უნდა შეასრულოს, რომ არ დაზარალდეს არც მაჟორიტარის და არც მცირე აქციონერის ინტერესები, თუმცა აღნიშნული ინსტიტუტი, პირველ რიგში, თავად სანარმოს მიზნებს ემსახურება და არა რომელიმე კონკრეტული აქციონერისას. შესაბამისად, განსხვავება უმცირესობისა და უმრავლესობის უფლებებს შორის კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარეობს და კონსტიტუციის დარღვევაც ამიტომ არ არის სახეზე.

თავი VI

აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის მოწესრიგება ქვროპული და ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით

6.1. გერმანიის და შოლანდიის კანონმდებლობით

აქციონერების კორპორაციიდან გაძევებას იცნობს სხვადასხვა ქვეყნის სამართალი.

გერმანული სამართალით განსხვავებულად წესრიგდება აქციათა სავალდებულო მიყიდვა იმისდა მიხედვით, კომპანია სტატიკურ პერიოდშია თუ აქციათა სავალდებულო მიყიდვა კომპანიაზე კონტროლის მოპოვებას უკავშირდება. გერმანული სააქციო კანონის თანახმად აქციონერი, რომლის აქციები სააქციო საზოგადოებაში მიაღწევს 95 %-ზე მეტს იძენს მცირე აქციონერებისაგან უფლებას, რომ გამოისყიდოს აქციები. მაჟორიტარი საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადებას წარუდგენს სააქციო საზოგადოების გამგეობას და ამ უფლებას საერთო კრებაზე გამოიყენებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წესდებით გათვალისწინებულია აქციათა სავალდებულო მიყიდვის, ე.წ. squeeze-out პროცედურა, გამგეობის გადაწყვეტილება უთანაბრდება საერთო კრების გადაწყვეტილებას და მისი მოწვევა აღარ არის საჭირო.

გამომსყიდველი აქციონერი ვალდებულია საერთო კრებას/გამგეობას წარუდგინოს მცირე აქციონერისათვის გადასახდელი კომპენსაციის გადახდის საგარანტიო დოკუმენტი ამ საკითხის კრებაზე განხილვამდე.⁷³ იმ შემთხვევაში თუ მცირე აქციონერისათვის გადახდილი კომპენსაცია არაა შესაბამისი, ან

⁷³ Mayer Brown, Public Takeovers in Germany, 2019 (გვ.9)

იგი არასრულადაა გადახდილი, აქციონერს შეუძლია სასამართლოს მოსთხოვოს სათანადო, შესაფერისი კომპენსაციის დროული გადახდა.

კანონი სააქციო საზოგადოების შესახებ უმცირესობაში მყოფ აქციონერებს დაცვის სხვა მექანიზმებსაც სთავაზობს. ფულადი ანაზღაურების შესაბამისობა დადასტურებული უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი აუდიტორის მიერ, რომელსაც სასამართლო შეარჩევს და დანიშნავს. ამ მუხლების გამოყენება მინორიტარი აქციონერებისთვის ქმნის დაცვის სათანადო იარაღს სავალდებულო მიყიდვის უსამართლოდ აღსრულების წინააღმდეგ. ამასთან ერთად, დამატებითი უსაფრთხოების მექანიზმად შემოთავაზებულია უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი უმცირესობისთვის შეთავაზებულ ფულად ანაზღაურებაზე. ეს განაკვეთი 2%-ით მაღალი უნდა იყოს იმ საბაზისო წლიურ საპროცენტო განაკვეთზე, რომელიც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 247-ე მუხლით დგინდება.⁷⁴ იმ შემთხვევაში თუ სავალდებულო მიყიდვა კომპანიაზე კონტროლის დამყარების შეთავაზებას ან სავალდებულო სატენდერო შეთავაზებას მოჰყვა გადაწყვეტილებას აქციათა მიყიდვის შესახებ სასამართლო იღებს და არა აქციონერთა საერთო კრება.

ჰოლანდიაში „squeeze out“ დადგენილია სამოქალაქო კოდექსის 2:92ა მუხლით, რომლის თანახმად 95 %-ის მქონე აქციონერს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს სარჩელით დანარჩენი 5 % აქციონერების აქციების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. საკითხს აქციების გადაცემის შესახებ წყვეტს სასამართლო. სასამართლო უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მაჟორიტარი აქციონერის სარჩელი, თუკი ამ აქციათა გადაცემის შედეგად რომელიმე მინორიტარი აქციონერი დაზარალდება, ან რომელიმე მათგანი სააქციო საზოგადოებასთან დაკავშირებულია განსაკუთრებული

⁷⁴ ნოზაძე, ა. (2012). *აქციათა სავალდებულო მიყიდვა, ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი*. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა. (გვ.11)

მმართველობითი ვალდებულებებით.⁷⁵ თუ სასამართლოს მიერ მოთხოვნა შეტყობის იქნება როგორც „სამართლიანი“, გამოსასყიდი აქციების ფასს ადგენენ ექსპერტები.⁷⁶ სასამართლო დანიშნავს ერთ ან სამ დამოუკიდებელ ექსპერტს შესაფასებლად. იმ შემთხვევაში, თუკი აქციონერები არ ეთანხმებიან სასამართლოს მიერ დადგენილ ფასს, მიმართავენ ჰოლანდიის უზენაეს სასამართლოს.⁷⁷

6.2. პოსტ-საბჭოთა ქვეყნების კანონმდებლობით

აქციათა სავალდებულო მიყიდვის რეგულირება პოსტ საბჭოთა ქვეყნების სამართალში განსხვავებულია კონტინენტური ევროპისაგან.

ესტონურ მოდელში დომინანტი პარტნიორი რომელიც 90 %-ს ფლობს აქციების, squeeze-out უფლებას საერთო კრებაზე იყენებს. წინადადება აქციების გამოსყიდვის თაობაზე წარედგინება სააქციო საზოგადოების აღმასრულებელ ორგანოს -გამგეობას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ესტონეთის კოდექსის 363 პარაგრაფი პირდაპირ განსაზღვრავს მცირე აქციონერებისათვის გადასახდელი კომპენსაციის საკითხს: გამოსასყიდი აქციები არ უნდა იყოს იმ ფასზე ნაკლები, ვიდრე ეს იყო მცირე აქციონერებისათვის აქციების გამოსყიდვაზე შეტყობინების გაგზავნამდე 10 დღით ადრე. გამომსყიდველი აქციონერი ვალდებულია კრებას წარუდგინოს წერილობითი ფორმით ანგარიში გამოსყიდვაზე, რომელშიც უნდა განიმარტოს გამოსყიდვის პირობები და მიზეზები. საერთო კრებაზე დომინანტი აქციონერის მიერ დაყენებული აქციების სავალდებულო მიყიდვის

⁷⁵ Tom Vos, “Baby, it’s cold outside.” –A comparative and economic analysis of freeze-outs of minority shareholders, 2018 (გვ.25)

⁷⁶ <https://www.amsadvocaten.com/dictionary/corporate-law/squeeze-out-procedure/>

⁷⁷ C Van der Elst and L Van den Steen, ‘Balancing the interests of minority and majority shareholders: a comparative analysis of squeeze-out and sell-out rights’ [2009] European Company and Financial Law Review 391, 429

საკითხი მიღებულად ითლება, თუკი მას მხარს დაუჭერს სააქციო საზოგადოების აქციონერთა 95% ხმის უფლების მქონე აქციონერი.⁷⁸

აქციათა სავალდებულო მიყიდვას იცნობს უკრაინის სამართალიც. 2017 წლის 23 მარტს მიღებულ იქნა უკრაინის კანონი "სააქციო საზოგადოების კორპორატიული მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით უკრაინის გარკვეულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 4 ივნისს. კანონმა აქციონერებს მიანიჭა დიდი ხნის ნანატრი სავალდებულო მიყიდვისა და გამოსყიდვის უფლებები. ზღვრულ ბარიერად განსაზღვრულია სააქციო საზოგადოებაში გამოშვებული აქციების არანაკლებ 95% -ის ფლობა.⁷⁹ ამ უფლების განსახორციელებლად, უმცირესობის აქციონერმა უნდა უზრუნველყოს სააქციო საზოგადოების წერილობითი გაყიდვის მოთხოვნა და აქციების საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აქციების ნასყიდობის ფასის დადგენისა და დამტკიცების შემდეგ, მაჟორიტარმა აქციონერმა უნდა შეიძინოს უმცირესობის აქციონერის აქციები და გადაიხადოს ნასყიდობის ფასი კომპანიის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში. „განდევნა“ ხდება მხოლოდ კანონის ამოქმედებიდან ორი წლის განმავლობაში. უკრაინის სააქციო საზოგადოების ნებისმიერ მაჟორიტარ აქციონერს აქვს უფლება მოითხოვოს მისთვის უმცირესობის აქციონერების აქციების მიყიდვა.

სააქციო საზოგადოება, აქციების საბაზრო ღირებულების დამტკიცების და შესყიდვის შეუქცევადი მოთხოვნის მიღებისთანავე, ოფიციალურ ვებგვერდზე აცხადებს შესყიდვას და აცნობებს ამის შესახებ უკრაინის ეროვნულ ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟის კომისიასა და უკრაინის ცენტრალურ დეპოზიტარს. უმცირესობის აქციონერებს არ შეუძლიათ უარი თქვან და ვალდებულნი არიან გაყიდონ თავიანთი აქციები

⁷⁸Toomas Prangli and Reimo Hammerberg, Public mergers and acquisitions in Estonia: overview, 2012

⁷⁹ The Squeeze-out of Minority Shareholders: The Case of Ukraine, Hungarian Journal of legal studies, 2019

საბაზრო ღირებულებით. ამ კანონის მიღება პარლამენტის მნიშვნელოვანი ნაბიჯია უკრაინის კორპორატიული სამართლის საუკეთესო კორპორატიული პრაქტიკის დანერგვის მიზნით.⁸⁰

6.3. ამერიკული სამართლით

დომინანტი აქციონერის მერ მცირე აქციონერების „განდევნა“ წმინდა ანგლო-ამერიკული სამართლებრივი მოვლენაა.⁸¹

ამერიკულ სამართალში უმცირესობის მქონე აქციონერების „გაძევების“ მეთოდად გამოიყენება ორსაფეხუროვანი და სამსაფეხუროვანი ტრანზაქციები. ა კომპანიის მიერ ბ კომპანიის შესყიდვისას, ა კომპანია ცდილობს შეიძინოს ბ კომპანია მთლიანად, ისე, რომ ბ კომპანიის უმცირესობის მქონე აქციონერებს აღარ დარჩეთ ხმის უფლების მქონე აქციები. დასახელებული შესაძლებელია ტრანზაქციის პირველივე საფეხურზე ვერ განხორციელდეს და შემსყიდველმა კომპანიამ სამიზნე კომპანიის აქციონერები ტრანზაქციის შემდგომი საფეხურებიდან „გააძევოს“.⁸²

მაგალითად, ტრანზაქციის პირველ საფეხურზე ბ კომპანია გახდება ა კომპანიის მიერ კონტროლირებული კომპანია, ხოლო მეორე ეტაპზე ა კომპანია შეისყიდის ბ კომპანიის დარჩენილ, თავდაპირველი აქციონერების მფლობელობაში არსებულ, აქციებს, რომლებიც ტრანზაქციის მეორე ეტაპზე არიან უმცირესობაში. მეორე ეტაპი შეიძლება განვითარდეს ა კომპანიის მიერ ახალი შვილობილი კომპანიის შექმნით, რომელსაც შემდეგ უერთებენ ა კომპანიის კონტროლს ქვეშ მყოფ ბ კომპანიას, რის შედეგადაც ბ კომპანიის უმცირესობაში მყოფი აქციონერები კარგავენ ბ კომპანიის აქციებს. გაერთიანების შემდეგ უმრავლესობაში მყოფი აქციონერები იღებენ აქციებს

⁸⁰ The Share Squeeze-out and sell-out implemented in Ukraine, 2017

⁸¹ კუჭავა კ, სავალდებულო მიყიდვა- უფლებათა დარღვევა თუ გზა უკეთესი კორპორაციული მართვისაკენ. 2007, (გვ.4)

⁸² მაისურაძე დ, კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას (შედარებითსამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე),თბილისი,2014წ, (გვ.37)

დელა და შვილობილი კომპანიის შერწყმის შედეგად წარმოქმნილ მემკვიდრე კომპანიაში, ხოლო უმცირესობაში მყოფი აქციონერები აქციების სანაცვლოდ იღებენ ფულს.

ორ ეტაპიანია შესყიდვა, როცა ერთი კორპორაცია ყიდულობს მეორეს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე მყიდველი კორპორაცია ყიდულობს სამიზნე კორპორაციის აქციებს უშუალოდ აქციონერებისგან სატენდერო შეთავაზებით, ხოლო მეორე ეტაპზე სამიზნე კორპორაცია ერწყმება მყიდველ კორპორაციას. თუ ტრანზაქციის განცხორციელების შემდეგ მყიდველ კორპორაციას მიზნად აქვს სამიზნე კორპორაციიდან უმცირესობაში დარჩენილ აქციონერთა გაძევება, იგი მათ აქციების სანაცვლოდ ნაღდ ფულს შესთავაზებს. შერწყმის ტრანზაქციის ამ ტიპს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „cash-out-merger” ან „freeze-out merger”.⁸³

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამა თუ იმ გარიგების სამართლიანობა ხშირად ნყდება სასამართლოს მიერ. „გაძევების“ სამართლიანობის შემოწმება ორ ეტაპად ხდება: არის თუ არა ზოგადად ტრანზაქცია სამართლიანი კორპორაციის უმცირესობაში მყოფ აქციონერთა მიმართ და ემსახურება თუ არა ეს ტრანზაქცია რაიმე ლეგიტიმურ მიზანს.⁸⁴ დელავერის სამართლით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს ნებისმიერ აქციონერს. შეზღუდვა არის ის, რომ მომჩივანი აქციონერის საკუთრებაში კომპანიის აქციები უნდა იყოს იმ გარიგების მომენტში, რომელსაც ის ასაჩივრებს.⁸⁵

⁸³ Just in time for summer: The freeze-out merger, a legal option available to some majority owners of privately-held Texas companies, 2019

⁸⁴ ბაქაქური ნ, კორპორაციიდან უმცირესობაში მყოფ აქციონერთა გაძევება, ლექციათა კრებული, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.

⁸⁵ ბაქაქური ნ, კორპორაციიდან უმცირესობაში მყოფ აქციონერთა გაძევება, ლექციათა კრებული, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, 2009

6.4. ძირითადი განსხვავებები ევროპულ და ამერიკულ სისტემებს შორის

როგორც აღინიშნა, აქციათა სავალდებულო მიყიდვა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა შემთხვევებშია დასაშვები.

ზოგადად, შეერთებულ შტატების სამართალი ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრად უფრო მოქნილია, ვიდრე ევროკავშირისა. „Cash merger“ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეერთებულ შტატებში აქციონერთა განსაღვენად, თუ აქციების 50%-ს აღწევს. მაშინ, როდესაც ევროკავშირში ძირითადად აქციათა სავალდებულო მიყიდვა დაიშვება მხოლოდ 90–95% აქციების ფლობისას.⁸⁶

ევროკავშირის ასეთმა მაღალმა ბარიერმა პრაქტიკოსები აიძულა მოეძიებინათ „freeze out/squeeze-out“-ის ისეთი ალტერნატივა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა შედარებით ქვედა ზღურბლზე. მაგალითად, როგორცაა დე-ფაქტო შერწყმა („übertragende Auflösung“) გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, რომელიც შესაძლებელია აქციების 75% -ის ფლობისას. ანალოგიურად, ნიდერლანდების სასამართლო პრაქტიკა, გარკვეულ შემთხვევებში, მხარს უჭერს შერწყმის ან დე-ფაქტო შერწყმის გამოყენებას მცირე აქციონერთა განდევნის მიზნით. საფრანგეთში ასეთი ალტერნატივის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წესდებითაა გაწერილი. ბელგიის სასამართლო პრაქტიკა და ლოქტრინა კი squeeze-out -ის ალტერნატიულ გზებს მაჟორიტარ აქციონერთა უფლების ბოროტად გამოყენებად მიიჩნევს. ძალიან მწირია ლიტერატურა, რომელიც ადარებს ამ განსხვავებულ მოწესრიგებებს ერთმანეთს და განიხილავს რეკომენდებულ ზღვარსა და პირობებს თითოეული სისტემისათვის.⁸⁷

⁸⁶ Tom Vos, “Baby, it’s cold outside.” –A comparative and economic analysis of freeze-outs of minority shareholders, 2018 (გვ.4)

⁸⁷ Tom Vos, “Baby, it’s cold outside.” –A comparative and economic analysis of freeze-outs of minority shareholders, 2018 (გვ.5)

შეერთებულ შტატებთან შედარებით, squeeze-out -ის პირობები ევროკავშირში გაცილებით ნაკლებად მოქნილ რეჟიმს ექვემდებარება. ზოგადად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები არ იზიარებენ cash out merger ინსტიტუტს. ნებისმიერ შემთხვევაში, შერწყმა ევროპაში არ განიხილება როგორც „squeeze out“-ის ჩვეული გზა. შთანთქმის ღირეექტივა (takeover directive) ითვალისწინებს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა აქციათა სავალდებულო მიყიდვა უნდა განიხილონ ფასის შეთავაზების შემდეგ (“post-takeover squeeze-out”). ეს პროცედურა საშუალებას აძლევს შემთავაზებლებს, რომ აქციების გარკვეული პროცენტული ზღვრის მიღწევის შემთხვევაში აიძულონ მინორიტარი აქციონერები, გადასცენ თავიანთი წილი შეთავაზებიდან სამი თვის შემდეგ. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ აირჩიონ ერთი ბარიერი 90 – დან 95% –მდე.⁸⁸ ხშირად, წევრი სახელმწიფოები ადგენენ, რომ ფასს განსაზღვრავს ან განიხილავს ფინანსური ხელმძღვანელი, სასამართლო ან დამოუკიდებელი ექსპერტი.⁸⁹

ზღვრული ბარიერის განსხვავება ევროპულ და ამერიკულ სამართალს შორის სხვადასხვა ფაქტორითაა გამართლებული. შეერთებულ შტატებში, აქციონერი განიხილება, როგორც ინვესტორი, რომელსაც მხოლოდ ფინანსური ინტერესი აქვს კომპანიაში, ხოლო ევროკავშირში კანონი აქციონერს განიხილავს როგორც საკუთრების უფლების მფლობელს.⁹⁰ ზოგიერთი აქციონერი „ინვესტორზე“ მეტად შეიძლება მართლაც „მესაკუთრეს“ ჰგავდეს. მაგალითად, როდესაც კომპანია ოჯახის დაარსებულია, აქციონერები შეიძლება სულაც არ წარმოადგენდნენ

⁸⁸ Tom Vos, “Baby, it’s cold outside.” –A comparative and economic analysis of freeze-outs of minority shareholders, 2018 (გვ.21)

⁸⁹ Tom Vos, “Baby, it’s cold outside.” –A comparative and economic analysis of freeze-outs of minority shareholders, 2018 (გვ.22)

⁹⁰ Tom Vos, “Baby, it’s cold outside.” –A comparative and economic analysis of freeze-outs of minority shareholders, 2018 (გვ.34)

უმრავლესობას და დაახლოებით 20-30% აქციების მფლობელი იყვნენ, მაგრამ კვლავ შეიძლება ჰქონდეთ მაკონტროლებელი ინტერესი.⁹¹

ზემოთ მოცემული მსჯელობებიდან გამომდინარეობს, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი სრულად არ არის ჰარმონიზებული ევროკავშირსა და წევრ ქვეყნებში. მართლაც, „squeeze out“-ის ზღვრული ბარიერიც და სამართლებრივი ფასის განსაზღვრაც თითოეული წევრი სახელმწიფოს პრეროგატივაა. შესაბამისად, კომპრომისის მიღწევა განხორციელდა მინიმუმი სტანდარტების დანესებით. კერძოდ, დირექტივები მხოლოდ მინიმალურ სტანდარტებს ადგენენ, ხოლო მათი გამკაცრება წევრი ქვეყნების გადასაწყვეტი რჩება.⁹²

⁹¹ Tom Vos, “Baby, it’s cold outside.” –A comparative and economic analysis of freeze-outs of minority shareholders, 2018 (გვ.35)

⁹² Tom Vos, “Baby, it’s cold outside.” –A comparative and economic analysis of freeze-outs of minority shareholders, 2018 (გვ.22)

თავი VII

კვლევის შედეგები და მათი განსჯა

აქციათა სავალდებულო მიყიდვის სამართლებრივი ინსტიტუტი აუცილებელია თანამედროვე საკორპორაციო სამართლისათვის, რასაც ადასტურებს წინამდებარე ნაშრომში განხილული როგორც ქართული, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა.

1. ქვეყნისათვის „ეკონომიკური კლიმატის“ გაუმჯობესების პარალელურად ინსტიტუტი პირდაპირ უკავშირდება მცირე აქციონერის იძულებას - განკარგოს აქციები საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, რაც ამ უკანასკნელის საკუთრების უფლებაში ჩარევას წარმოადგენს. საკუთრების უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული და აღიარებულია, თუმცა იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მისი შეზღუდვა.

2. საჯარო ინტერესის ცნება ცვალებადია პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოცემულობების გათვალისწინებით, თუმცა კონსტიტუციის ნორმის წინანდელი მონესრიგებისაგან - „აუცილებელი საჭიროებისაგან“ განსხვავებით, უფრო ნათელ და უფრო ფართო განმარტების საშუალებას იძლევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს საკუთრების უფლება.

3. აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის კრიტიკოსები ხშირად მიუთითებენ, რომ მარტოოდენ აქციათა 95%-ის საკუთრებაში არსებობა არ მოიცავს დანარჩენი აქციონერების საწარმოდან განდევნისა და მათი აქციების შესყიდვის უცილებელ საჭიროებას. ამ მოსაზრების საპირისპიროდ, ნაშრომში განმტკიცებულია, რომ აუცილებელი საჭიროება არ გულისხმობს გადაუდებელ, საგანგაშო მდგომარეობას. არამედ, უნდა ვიხელმძღვანელოთ საჯარო ინტერესის პოზიტიური გაგებით. სწორედ საჯარო ინტერესად უნდა

მივიჩნით, მაგალითად ქვეყანაში სანარმოთა უკეთესი ფუნქციონირება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს და კრიტიკოსთა მსჯელობის საპირისპიროდ, ნაშრომში მიჩნეულია, რომ სასამართლოში განცხადების შეტანისას, მაჟორიტარ აქციონერს არ უნდა უწევდეს იმის მტკიცება, თუ რამდენად ხელის შემშლელია მისთვის 5% და კიდევ უფრო ნაკლები წილის მფლობელი აქციონერის არსებობა სანარმოში. ამ ფაქტის მტკიცებით არ უნდა ყალიბდებოდეს დასკვნა, თუ რამდენად ემსახურება აქციათა სავალდებულო მიყიდვა საჯარო ინტერესებს. მსოფლიო ისედაც ებრძვის უბილეთო მგზავრის პრობლემას (free rider problem) და საჯარო ინტერესის არსებობისთვის სულაც არ არის აუცილებელი, რომ მცირე აქციონერები მთელი თავიანთი შესაძლებლობებით ართულებდნენ სანარმოს ფუნქციონირებას. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ კანონის 53⁴ (3) მუხლით განწერილი იმპერატივი- „განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოსყიდვის მიზეზების შესახებ“, ზედმეტია და უადგილო, ვინაიდან აქციათა სავალდებულო მიყიდვის ერთადერთი მიზეზი და წინაპირობა საკუთრებაში აქციების 95%-ის ფლობაა. ამის მარტივი არგუმენტია ის, რომ 95%-იანი კვოტის მიღწევა არ იწვევს აქციების საკუთრებაში ავტომატურად გადასვლას და აქციათა სავალდებულო მიყიდვა მხოლოდ მაჟორიტარის მოთხოვნით (სასამართლოსთვის მიმართვით) ხდება. შესაბამისად, თუკი მაჟორიტარი აქციონერი მიიჩნევს, რომ სანარმოს ინტერესებისათვის უმნიშვნელოა დარჩენილი აქციების შესყიდვა, იგი არც შეეცდება მათ შესყიდვას.

5. კრიტიკოსთა მოსაზრების საპირისპიროდ, რომ სააქციო საზოგადოების აქციათა 100%-ის ერთი აქციონერის ხელში თავმოყრა არის აქციონერის კერძო ინტერესი, ნაშრომში განამტკიცებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტს სანარმოს მიზნებიდან გამომდინარე. მართალია აქციათა გამოსყიდვის დროს მაჟორიტარი აქციონერის ინტერესი

ცალსახად იკვეთება, თუმცა, თვითონ ეს აქციონერი სანარმოს ინტერესების გამტარებლად გვევლინება. გაანალიზებული უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ სააქციო საზოგადოებაში კომპანიის სათანადო მართვა უმრავლესობის ინტერესია. სწორედ ამ მაჟორიტარი აქციონერის ინტერესებია, რაც წარმოშობს სანარმოს ეფექტურ განვითარებას და იმ მოგების უზრუნველყოფას, რომელსაც მცირე აქციონერები, როგორც უბილეთო მგზავრები (free riders) ხშირად ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე იღებენ.

6. ნაშრომში გაზიარებულია პოზიცია, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი გულისხმობს მცირე აქციონერთა საკუთრებაში არსებული აქციების მატერიალურ აქტივად გარდაქმნას. იმ პირობებში, სადაც ყველა გადანყვეტილებას უმრავლესობა იღებს და ყველა ღონისძიებას უმრავლესობა ატარებს, ხუთი და უფრო ნაკლები პროცენტის მფლობელი აქციონერი არც სანარმოს მართვაში იღებს მონაწილეობას და არც განსაკუთრებული დანიშნულება აქვს. აქციონერად დარჩენის ერთადერთი მიზეზი მისთვის დივიდენდის მიღებაა, რომელიც შესაძლოა არც განაწილდეს. ამიტომ, ღიახ, განსახილველი ინსტიტუტი „უბილეთო მგზავრების“ აქციების მატერიალურ აქტივად გარდაქმნას გულისხმობს.

7. ერთადერთი პრობლემა, რის გამოც შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მათი უფლება უსამართლოდ იზღუდება არის არა განკარგვის ფაქტი, არამედ განკარგვის მათთვის არასასურველი დრო. მართალია, ასეთ აქციონერს, ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე „ისლა დარჩენია“ გაასხვისოს საკუთარი აქციები, მაგრამ მას ვართმევთ უფლებას, რომ ეს აქციები გაასხვისოს მოგვიანებით, უფრო მომგებიან ფასად. მაშასადამე მცირე აქციონერთა დაცვაზე საუბრისას ყველაზე მნიშვნელოვანია მათთვის სამართლიანი ანაზღაურების გადაცემა.

8. აქციათა სამართლიან ფასს დღეს მოქმედი კანონმდებლობით სასამართლო ადგენს. ნაშრომი სრულიად იზიარებს საკანონმდებლო ცვლილებების დადებით მხარეს. მსჯელობის შემდეგ, რაც ნაშრომშია

გატარებული, რომ 95%-ის მფლობელ აქციონერს არ უწევდეს მიზმების არგუმენტირება და მტკიცება, თუ რატომ არის აუცილებელი საწარმოსთვის აქციათა გამოსყიდვა, სრულიად არაადეკვატური იქნებოდა აქცენტი არ გაკეთებულიყო სამართლიან ანაზღაურებაზე. ასეთ პირობებში უსამართლო იქნებოდა სამართლიანი ფასის დადგენა საზოგადოების წესდებით, ან იმ ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის მიერ, რომელზედაც მაჟორიტარ აქციონერს შეუძლია გავლენის მოხდენა. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი კანონმდებლობით სამართლიან ღირებულებას სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტი ადგენს, მიმაჩნია, რომ უმცირესობის უფლებები ამ მხრივ სათანადოდ დაცული მაინც არ არის.

9. ქართული რეალობის პირობებში სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საფონდო ბირჟა სათანადოდ განვითარებული ჯერ არ არის, უმჯობესი იქნება თუ სასამართლო აქციათა სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით არაერთ ექსპერტს დანიშნავს, როგორც ეს გერმანიაში და ჰოლანდიაშია ან უფრო მეტიც, ჩაატარებს ხელახალ ექსპერტიზასაც და ისე მიიღებს გადაწყვეტილებას. სასურველია, გერმანიის მსგავსად, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეებს განიხილავდეს რომელიმე კონკრეტული სასამართლო, რადგან ეს ხელს შეუწყობდა მოსამართლეების კვალიფიკაციის ამაღლებას და სპეციალიზებას ამ დარგში. ასევე, კარგი იქნება თუ მოხდება ექსპერტთა განსაკუთრებული სპეციალიზებაც.

10. ნაშრომი ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომელიც აქციათა სავალდებულო მიყიდვის აღსრულება-არ აღსრულების საკითხს უკავშირებს იმ ფაქტს, კომპანია რესტრუქტურიზაციის ან ლიკვიდაციის პერიოდშია თუ სტატიკურ მდგომარეობაში. ამ მსჯელობის მიხედვით აქციათა სავალდებულო მიყიდვა გვევლინება როგორც საწარმოთა შთანთქმისა და რესტრუქტურიზაციის თანმდევი და ხელშემწყობი მექანიზმი, ხოლო სტატიკურ მდგომარეობაში მყოფ საწარმოზე მისი გავრცელება ზრდის ამ ინსტიტუტის არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტს. როგორც რესტრუქტურიზაციის

მექანიზმი აღნიშნული ინსტიტუტი მართლაც გვევლინება ამერიკულ სამართალში, სადაც უმცირესობის მქონე აქციონერების „გაძევების“ მეთოდად გამოიყენება ორსაფეხუროვანი და სამსაფეხუროვანი ტრანზაქციები. თუმცა აღნიშნული მონესრიგება მისაღებია ამერიკულ სამართალში, რადგან ქართული მონესრიგებისაგან სრულიად განსხვავებულ მექანიზმებს მოიცავს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დელავერის კოდექსი საშუალებას აძლევს მშობელ კომპანიას, რომელიც ფლობს შვილობილი კომპანიის 90%-ს შეუერთდეს ამ შვილობილ კომპანიას და შესაბამისი ღირებულება გადასცეს უმცირესობის წარმომადგენლებს. უფრო მეტიც, „cash merger“ შერთებულ შტატებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქციონერთა განსაღვენად, თუ აქციების 50 პროცენტს მიაღწევს. შესაბამისად, ამერიკულ სამართალში ბარიერი გაცილებით დაბალია დაწესებული. რაც შეეხება გერმანული სამართლის მონესრიგებას, მართალია ზღვარი საქართველოს მსგავსად 95%-ია, მაგრამ გერმანულ სამართალში როდესაც კომპანია სტატიკურ მდგომარეობაშია, არათუ არ ვრცელდებოდა მასზე სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებაც არ არის საჭირო. ასეთ დროს სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას პარტნიორთა კრება იღებს, სამართლიანი ფასი კი ნომინალური ღირებულებით ან აქციათა რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება. შესაბამისად, ნაშრომში აღწერილი საქართველოში არსებული სხვადასხვა ხელშემშლელი ფაქტორებიდან გამომდინარე, აღნიშნული ინსტიტუტი ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით, ამ მხრივ, ისედაც ყველაზე მკაცრად არის მონესრიგებული.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარება დიდწილად უკავშირდება სახელმწიფოში სააქციო საზოგადოებების გამართულად და ეფექტურად ფუნქციონირებას, რადგან სწორედ სააქციო საზოგადოებები უზრუნველყოფენ ინვესტიციების მოზიდვას და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. სანარმოთა დაუფლების გამჭვირვალე ჩარჩო პირობების შექმნას და კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობას აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის არსებობა ძალიან უწყობს ხელს. ამიტომ, მნიშვნელოვანია აღნიშნული ინსტიტუტი საკანონმდებლო დონეზე ისე იყოს მოწესრიგებული, რომ დაცულ იქნეს მცირე აქციონერთა უფლებებიც და ამავე დროს არ შეფერხდეს სანარმოთა დაუფლების პროცესი.

ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ ნორმის ქართული სამართლებრივი მოწესრიგება მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების კვალს მისდევს, თუმცა ზოგ შემთხვევებში უფრო მკაცრ რეგულირებებსაც აწესებს. ეს გამართლებულიცაა, რადგან განვითარების სხვადასხვა საფეხურზე არსებული ქვეყნების კანონმდებლობის სრული მსგავსება შეუძლებელია. ამას ითვალისწინებს ქვროკავშირის ქვეყნებში მოქმედი კორპორაციული სამართლის მარეგულირებელი მეცამეტე დირექტივაც, რომელიც მინიმალურ სტანდარტებს აწესებს და სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას, თავად მოარგონ საკუთარ რეალობას.

მიუხედავად ამისა, როგორც ნაშრომში აღინიშნა, გარკვეული მექანიზმების გადმონერგვა და ინპლემენტაცია მხოლოდ სასიკეთო ცვლილებებს მოიტანს. მაგალითად, სასურველია თუ გერმანიის მსგავსად, საქართველოშიც განისაზღვრება კონკრეტული სასამართლო, რომელიც განიხილავს აქციათა სავალდებულო მიყიდვის საქმეებს. აგრეთვე, სასიკეთო

ცვლილებების მომტანი იქნება თუ ნიდერლანდების მსგავსად მოსამართლე სამ ექსპერტს დანიშნავს აქციათა სამართლიანი ღირებულების დასადგენად. მხედველობაში უნდა მივიღოთ ამერიკული სამართლით დადგენილი მოქნილი სისტემაც იმ თვალსაზრისით, რომ მეტად არ გავურთულოთ მაჟორიტარ აქციონერებს საწარმოს დაუფლების პროცესი.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასამართლოს როლი აქციათა სავალდებულო მიყიდვასთან დაკავშირებულ საქმეებზე. კანონი ადგენს კონკრეტულ ბარიერს - 95%-ზე მეტი წილის ფლობას და როგორც ნაშრომშია განხილული, აქციონერის მიერ ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში სასამართლოს სასურველია არ უწევდეს მსჯელობა მცირე აქციონერის კეთილსინდისიერებასთან და მის მიერ გამოწვეულ ხელის შემშლელ მოქმედებებთან დაკავშირებით და სასამართლოს როლი ძირითადად სამართლიანი ფასის განსაზღვრით შემოიფარგლებოდა.

მართალია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ისე არ არის განვითარებული, როგორც მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში, რაც ართულებს სამართლიანი ღირებულების დადგენის პროცესს და გვიბიძგებს მეტად დავიცვათ მინორიტართა უფლებები, მაგრამ ყველა მკაცრი რეგულაციის გადმოღება რასაც თითოეული ქვეყნის სამართლებრივ მოწესრიგებაში შევნიშნავთ, რეკომენდირებული არ არის. თუკი ამერიკული სტანდარტისაგან მხედველობაში მივიღებთ მაჟორიტარი აქციონერის მტკიცების ტვირთს უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, არ დავივიწყოთ მათთვის დაწესებული დაბალი ზღვრები, ხოლო თუ კონტინენტური ევროპის მაგალითზე ბარიერს 95%-ს ვადგენთ, მაშინ საჯარო ინტერესის არსებობის მტკიცების სტანდარტი უნდა შემცირდეს.

საბოლოო ჯამში, უმჯობესია ძირითადი ყურადღება არა საწარმოს დაუფლების პროცესის გართულებისაკენ მიემართოს, არამედ სამართლიანი ფასის დადგენის სრულყოფილი მექანიზმი შემუშავდეს. აღნიშნული

პრობლემა კი გარკვეულ წილად დროსთან არის დაკავშირებული, რომელიც ქართული საფონდო ბირჟის განვითარებას სჭირდება.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. აგიკიანი რ, მოლთაძე დ. (2021). ურბანული სამართალწარმოების საკითხები. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი.
2. ცნობილაძე ი, კოჭორიძე კ, ფოფხაძე ე, ტაბატაძე რ, მოსაშვილი ნ, აბაშიძე ქ, რევაზიშვილი თ, (2007). საკუთრების უფლება საქართველოში. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
3. ტულუში თ, ბურჯანაძე გ, მშვენიერაძე გ, გოცირიძე გ, მენაბდე ვ, (2013). ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
4. კრაკმანი რ, არმორი ჯ, დევისი პ, ენრიკესი ლ, ჰანსმანი პ, ჰერტიგი უ, ჰოპტი კ, კანდა პ, პარგლენდერუ მ, რინგე ვ, როკი ე, (2019). საკორპორაციო სამართლის ანატომია, მესამე გამოცემა.
5. ჰაგენლოხი უ, ალავიძე ბ, ბაქაძე ნ, ბერეკაშვილი დ, გასიტაშვილი ე, თოდუა მ, მესხიშვილი ქ, ქათამაძე პ, ძლიერიშვილი ზ, (2020). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები. თბილისი.
6. ბარბაქაძე ხ, ასლანიშვილი დ, ფასიანი ქალაღდების ბაზარი, ლექციების კურსი.
7. ბურდული, ი. (2007). სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა?! საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი.
8. ბურდული, ი. (2008). ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
9. გელაშვილი ი, ხელშეკრულების თავისუფლება, ხელშეკრულების დადების ვალდებულება, თბილისი 2017 წ,
10. თოდუა უ, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში, თბილისი, 2019 წ,

11. ვაკოიშვილი, დ. (2012). საკუთრება, საკუთრების ჩამორთმევა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის და მესაკუთრის ინტერესების დაცვა საკუთრების უფლებაში ჩარევის დროს. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა.

12. კეკელიძე გ, ხერხეულიძე დ. (2013). აქციათა სავალდებულო მიყიდვა-ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საკანონმდებლო რეგულაციის მიმოხილვის ჭრილში. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა.

13. ლონდარიძე მ. იურიდიული პირი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი. თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. 2013 წ.

14. მაისურაძე დ, იამანიძე ი, შაკიაშვილი ი. (2019). ინვესტიციის დაცვის სამეწარმეო-სამართლებრივი ინსტიტუტების მცირე ექსკურსი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. მართლმსაჯულება და კანონი.

15. მაისურაძე დ, (2014). კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას (შედარებითსამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე),თბილისი,,

16. ნოზაძე, ა. (2012). აქციათა სავალდებულო მიყიდვა, ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა.

17. ფანიაშვილი ლ, ტივიშვილი დ, (2020). გზამკვლევი სოციალური საწარმოებისა და არასამეწარმეო იურიდიული პირებისთვის. თბილისი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.

18. ყიფიანი ნ. საკუთრების უფლების შეზღუდვის კანონისმიერი და სახელშეკრულებო ფარგლები, თბილისი, 2019 წ. სამაგისტრო ნაშრომი,

19. ხათუნა ბარბაქაძე, დავით ასლანიშვილი. (2014). ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ლექციების კურსი.

20. ხარაიშვილი, ა. (2019). ქართული ბიზნეს სამართალი. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია.

21. ხურცილავა, რ. (2009). გამარტივებული წარმობა საქართველოს სამოქალაქო პროცესში. თბილისი.

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. C Van der Elst and L Van den Steen, ‘Balancing the interests of minority and majority shareholders: a comparative analysis of squeeze-out and sell-out rights’ [2009] European Company and Financial Law Review

2. Mayer Brown, Public Takeovers in Germany, 2019
3. The Share Squeeze-out and sell-out implemented in Ukraine, 2017
4. The Squeeze-out of Minority Shareholders: The Case of Ukraine, Hungarian Journal of legal studies, 2019
5. Tom Vos, “Baby, it’s cold outside.” –A comparative and economic analysis of freeze-outs of minority shareholders, 2018
6. Just in time for summer: The freeze-out merger, a legal option available to some majority owners of privately-held Texas companies, 2019

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1 370,382,390,402,405 გადაწყვეტილება
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება,
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის #1/14/184,228 გადაწყვეტილება,
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/7147-12
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება

ნორმატიული მასალა

საქართველოს კონსტიტუცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“

საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“

ინტერნეტ რესურსი

www.library.court.ge

www.matsne.gov.ge

www.supremecourt.ge

www.temida.mylaw.ge

www.tsu.ge

www.myadvokat.ge